



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვეთ 2 მან., თითო ნომერი - სამი შაური.

სელის მოწყობა მიიღება: თფილისში - «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» განცხადებაში და «კვალის» რედაქციაში, საპირობის ქ., № 15. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлиς, редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრისა. - სხვა-და-სხვა ამბები. - შინაური მიმოხილვა, ალისა. - კორესპონდენტები. - რუსეთის ცხოვრება. - საზღვარ-გარეთ. - მინდორში, მოთხ. გორკისა, თარგმანი ვ. გიუნაშვილისა. - სალამო, ლექსი ი. ევლოშვილისა. - როგორც ჰქვხს, ისე არა წვიმს, Idem-ისა. - პრესა საფრანგეთში. - ყურნალ-გაზეთებიდან. - კიდევ ბ. ზდანოვიჩის შესახებ, ვ. წერეთლისა. - განცხადებანი.

„კვალის“ რედაქციის აზრი:

სელის მოწყობით საუბარდლებით ვაძინადებთ, რომ ვისაც ხვედრი ფული არ აქვს შემოტანილი, მოძაგალ ნომრიდან „კვალი“ აღარ ვაგვსავნებთ. ადრესის გამოცვლა ქალაქ გარეთ ღირს 40 კან.

საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.

II.

ყველასათვის აშკარაა, რომ დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ათასგვარი კითხვებია წამოყენებული, რომლებიც პრესის საშუალებით აუცილებლათ გარკვეულ უნდა იქმნენ. სამწუხაროთ, გარეგანი პირობები მრავალ იმათგანზე თავისუფლათ მსჯელობას შეუძლებლათ ხდიან; ამიტომ შეუძლებელი ხდება იმათი მეტი თუ ნაკლები სიტყვით და სისწორით გარკვევა და გადაჭრა. იმავე დროს მუდამ მღელვარე ცხოვრება ბადავს კიდევ სხვა კითხვებს, რომლებიც წინანდლებთან ერთათ ახდენენ თანამედროვე „ინტელიგენტის“ გონებაში აზრთა იმ არე-დარევას, რომლის მოწამე, სხვათა შორის, დღეს ჩვენცა ვართ. თავის თავზე იგულისხმება, რომ ჩვენ აქ მხედველობაში გვყავს ის „ინტელიგენცია“, რომელსაც, ბ. ჯორჯაძის მსგავსათ, ყოველგვარი გონიერება ხალხისაგან გამოუდევნია და თავისთვის მიუსაკუთრებია. ცხოვრება და სინამდვილე მხოლოთ უგუნურებაა და სისულელე, ხალხი კი მცირეწლოვანი ბავშვი, რომელიც გამდელის, ე. ი. ინტელიგენტის, მოვლა-პატრონობას თხოულობს. ამიტომ ცხოვრება და სინამდვილე უნდა შეიცვალოს ისე, როგორც ამას საჭიროთ სცნობს «ინტელიგენცია». რომ ეს ასე მოხდეს, ამისთვის საჭიროა, ხალხი მას ყველაფერს უსმენდეს და უგონებდეს. «ინტელიგენცია» სრულებით არ კითხულობს იმას, შეესაბამება თუ არა ის, რის განხორციელებაც მას სურს, ცხოვრების სინამდვილეს, ან

მოითხოვს თუ არა მას ხალხის მდგომარეობა, ე. ი. მიმართულია, თუ არა იგი, ხალხის წარმატებისაკენ. მაგრამ განა წარმოსადგენია, რომ გონიერი უგუნურს ეკითხებოდეს და ან დარიგებას თხოვდეს? ამიტომ გონიერია და განხორციელების ღირსი ყოველივე ის, რაც „ინტელიგენტის“ გონიერათ მიაჩნია და, მაშასადამე, განხორციელების ღირსათაც. ასე მაღალი წარმოდგენა აქვს «ინტელიგენტის» თავის თავზე, ასე ამცირებს იგი ხალხს. ღმერთო ჩემო! რამდენათ ბრიყვი, ე. ი. ყოველივე გონიერებას მოკლებული, და იმავე დროს რამდენათ საბრალოა დღეს ასეთი შეხედულება ჩვენ თვალში. იგი მოწმობს, თუ რამდენათ უკან ჩამორჩენია «ინტელიგენცია» თანამედროვე ცხოვრებას, თუ რამდენათ დაშორებია პირველი მეორეს.

იყო დრო და მას აქვთ არც ისე დიდი ხანია (სულ რაღაც 40-50 წელიწადი თუ იქნება), როცა „ინტელიგენტის“ ასეთი ცრუ შეხედულებას კიდევ ჰქონდა რაიმე გასამართლებელი საბუთი. ეს ის დრო იყო, როცა მთელი საუკუნოების მიერ ნაანდერძევი ბატონ-ყმური ბორკილი სამუდამოთ გაწყდა და ხალხი იძულებული შეიქმნა სრულიად ახალ გზაზე დამდგარიყო და თავისი თავის პატრონობა თითონ ეკისრა. სწორეთ ამავე დროს გაჩნდა ჩვენში რამდენიმე ახალგაზდა პირი, რომელთაც მაღალი განათლება მიეღოთ და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობა სურდათ, უნდოდათ, რომ სწავლა-განათლებას ფეხი მოეკიდებია და გავრცელებულიყო ჩვენში. ცხადია, რომ ამ დროს შეეძლოთ მათ ბევრ რასმეში მასწავლებლები და გზის მაჩვენებლები ყოფილიყვენ. მაგრამ შემდეგში გარემოება სრულიად გამოიცვალა. ხალხი თანდათან გაიტაცა ახალმა ცხოვრებამ, რომელმაც ძირეულათ შესცვალა წინანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობანი; ამ ახალ პირობებში იგი დაეწაფა პრაქტიკულ მოქმედებას, იმ მოქმედებას, რომელიც ჰქმნის ისტორიას. „განათლებული“ პირები კი დარჩენ ცხოვრების გა-



რეშე; იმათთვის თითქმის სრულიად გაუგებარი დარჩა აწინდელი დროის მნიშვნელობა და აზრი. იმათ სრულე-ბით ვერ შეამჩნიეს ის ღირს-მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ დღეს ცხოვრებას სათავეში უდგანან სულ სხვა ელემენტები, ვინემ ეს ამ 50 წლის წინეთ იყო. ამნაირათ, როგორც ხედავთ, ცხოვრების ჩარხი შეტრიალდა „ინტელიგენციის“ სრულიად დაუკითხავათ, და ამ უკანასკნელს კი ეს არ სჯერა: იმას მინც ჰგონია, რომ ცხოვრება მხოლოდ მისი ბრძანებით იცვლება. ამაზე უფრო სასაცილო მდგომარეობა წარმოუდგენელია. მაგრამ მოგვხსენებათ, რომ სიცილს ზოგჯერ ცრემლებიც მოყვება ხოლმე. და აი ასე ემართება ჩვენ „მოხუც“ ინტელიგენციასაც. ამ უკანასკნელ ხანებში ის როგორღაც გრძნობს, რომ მის საბრძანებელში ყოველივე რიგზე აღარ არის, რომ მის სიტყვას და გავლენას „ხალხში“ ნიადაგი აღარ აქვს, რომ მას არავინ უგონებს. ადვილი წარმოსადგენია, რომ ყოველივე ეს მას მწარე ფიქრებს გვრის, სასოწარკვეთილებაში აგდებს, და როგორც წყალ-წალღბული კაცი ხავს მოეკიდება, ისე ზოგიერთ «ინტელიგენტთაგანს» სურთ უკანასკნელი ღონე იღონონ და ხალხს „დაუახლოვდნ“. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, თუ რამდენათ უხერხული, არაბუნებრივი და კომიკური ამნაირი «დაახლოვება». Sapienti sat!

\* \* \*

ერთათ ერთი საქმე, რომლითაც ამჟამს ყველა ქართველი, არის «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» თფილისში. ამას წინეთ გამოვიდა ამ საზოგადოების მე-22 წლის (1900 წ.) ანგარიში, მის გამგებლებათ არიან საქართველოს მთავარი «ბურჯნი», — მართო ეს ორი გარემოებაც საკმარისია, რათა მის მოქმედებაზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. სამწუხაროთ, დაბეჭდილი «ანგარიშები» მხოლოდ გარეგან მხარეს ეხებიან, სრულებით არ გვაცნობენ „საზოგადოების“ შინაურ ვითარებას; გარდა ამისა ჩვენ გვაქვს ხელში «ანგარიშები» მხოლოდ 1889 წლიდან (გარდა 1892—1893 წლ.), ყველანი ერთათ ერთგვარ ცნობებს არ იძლევიან. უწინარეს ყოვლისა მოვიყვანთ ცნობებს „საზოგადოების“ წევრების რაოდენობაზე და თუ რას იძლეოდენ ისინი ამ ხნის (1889—1900 წ.წ.) განმავლობაში:

წლები.	საპატ. წევრ.	დამფუძ.	ნამდვი-ლი წევრ.	სულ.	შემოტ.საწ. ფ. რაოდ.
1889—90	3	114	339	456	634 —
1890—91	4	114	341	462	273 —
1891—92	4	110	376	490	706 —
1893—94	4	110	398	512	522 —
1894—96	4	110	420	534	740 50
1897—	8	90	420	518	373 —
1898—	8	76	423	507	362 —
1899—	8	74	432	514	1359 —
1900—	8	73	538	669	777 50

ახლა გავიგოთ, თუ როგორ იმატა „საზოგადოების“ შესავალ-გასავალმა და მთელმა აღებ-მიცემობამ იმავე წლებში:

წლები.	შემოსავალი.		გასავალი.		აქტიური მემკვიდრეობა	
	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
1889—90	6230	14	5254	48	—	—
1890—91	5196	86	4194	77	20349	88
1891—92	5628	81	4854	17	29886	07
1893—94 <sup>1)</sup>	7896	73	8211	73	32168	51
1894—96	11159	50	14414	31	40417	29
1897	11381	74	10776	02	40128	50
1898 <sup>2)</sup>	39619	91	39218	02	43282	44
1899	19723	70	17687	28	49379	38
1900	19990	41	19215	15	48923	39

ამნაირათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 1898 წლის «საზოგადოების» შესავალ-გასავალს, როცა ბათომის და კავკასიის სასკოლო შენობათა ასაგებლათ ადგილობრივ კომიტეტების საშუალებით შეგროვილა 25 ათას მანეთამდე ფული, უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში შემოსავალს მოუმატია 13,760 მ. 27 კ., ე. ი. 220,9%, გასავალს კი—13,970 მან. 67 კაპ., ე. ი. 266,3%.

ამ შესავალ-გასავალის დასაფასებლათ საჭიროა ვიკოდეთ, თუ რას ხარჯავდა და რას ხარჯავს დღეს „საზოგადოება“ სკოლების და სახალხო ბიბლიოთეკების სასარგებლოთ. მაგრამ სანამ ამაზე დავიწყებდეთ ლაპარაკს, საჭიროა მოვიხსენიოთ, თუ რამდენი სკოლა და ბიბლიოთეკა ჰქონდა «საზოგადოებას» 1889 წლამდის და რამდენი დაუარსებია მას შემდეგში. 1889 წელს «საზოგადოებას» ჰქონდა 5 სკოლა, რომელთაც ან სულ თავის ხარჯით ინახავდა, ან და შემწევობას აძლევდა, სახელდ.: ბათომის, ხელთუბნის, თონეთის, წინარების და კავკასიის, ამას გარდა წინამძღვარიანთკარის სკოლას ეწეოდა წლიურათ 275 მან. 10 კაპ. უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში „საზოგადოებას“ გაუხსნია მხოლოდ ერთათ ერთი სკოლა სოფ. გომარეთში (1897 წ.) და ექვსი სახალხო ბიბლიოთეკა; უკანასკნელი იმათგანი, ე. ი. ჯიხარის, დაარსებულა 1898 წელს. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ «საზოგადოების» მოქმედება სკოლების დაარსების საქმეში ამ უკანასკნელ წლებში სრულებით მიიქრალა; ესევე ითქმის ბიბლიოთეკების შესახებაც, რადგან უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საზოგადოებას მხოლოდ ორი ბიბლიოთეკა გაუხსნია. ახლა გავიღებთ იმაზე, თუ რა ხარჯს ეწეოდა და ეწევა დღეს „საზოგადოება“ სკოლების და ბიბლიოთეკების სასარგებლოთ; ამისთვის საჭირო არ არის ყველა წლების ანგარიშის მოყვანა, ავიღოთ მხოლოდ სამი წელიწადი 1889, 1894—96 და 1900.

წლები.	სკოლებზე.		ბიბლიოთ.		სულ ერთათ.	რა % შეადგენს მთელი ხარჯ.
	მ.	კ.	მ.	კ.		
1889—90	2999	87	—	—	2999 87	59,8
1894—96	5214	68	2768	51	7983 19	69,9
1900	7946	18	2883	05	10829 63	51,1

როგორც ზემოთ მოყვანილ ცნობებიდან ჩანს, «საზოგადოების» ხარჯი სკოლებზე და ბიბლიოთეკებზე აბ-

1) ამ წელიწადს საზოგადოებამ იზარალა 315 მან.

2) 1898 წლის „საზოგადოების“ ხარჯთ-აღრიცხვის ასეთი მატება აიხსნება მითი, რომ ხსენებულ წელს გაეყოფულ იქნა კავკასიის და ბათომის სკოლის შენობები ადგილობრივ კომიტეტების საშუალებით, რაც საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვაშია შეტანილი.





სოლოტურათ თანდათან მატულობს, მაგრამ თუ შედარებით ვაგწინჯავთ, ადვილათ დაინახავთ, რომ იგი კლებულობს. მაგ., საანგარიშო წელს დახარჯულა სკოლებზე და ბიბლიოთეკებზე სულ 10,829 მ. 63 კ., ანუ 51,1% მთელი ხარჯისა, მაშინ, როცა 1889—90 წელს ამავე საქმეზე დაუხარჯავთ მთელი გასაღლის 59,8%, 1894—96 წელს კი 69,9%. ეს შემცირება ჩვენთვის უფრო აშკარა იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში ერთი მხრით იმ გარემოებას, რომ 1889—90 წელს მარტო სკოლებზე იხარჯებოდა 59,8% მთელი გასაღლისა და მეორე მხრით იმას, რომ 1894—96 საანგარიშო წელს ბიბლიოთეკების შემოსავალი მხოლოდ 586 მან. 11 კაპ. უდრიდა და დანარჩენ 2182 მან. და 46 კაპ. „საზოგადოება“ იღებდა, 1900 წელს კი ბიბლიოთეკების შემოსავალი შეადგენს 2567 მან. და 10 კაპ., ასე რომ «საზოგადოება» თავისი საშუალებიდან იმათ სასარგებლოდ მხოლოდ 295 მან. 95 კაპ. ხარჯავს. ასე და ამგვარათ, სახალხო სკოლები და ბიბლიოთეკები, რომლებისთვისაც თავდაპირველათ დაარსდა ხსენებული საზოგადოება და რომლებიც შეადგენენ უპირველეს მის დანიშნულებას, „საზოგადოების“ გამგეობის თანდათან ნაკლებ ყურადღებას იპყრობს. სხვა დასკვნის გამოყვანა ზევით მოყვანილ ცნობებიდან შეუძლებელია.

საითკენ უფრო გადაიხარა გამგეობის მოქმედება ან რა უფრო იზიდავს მის ყურადღებას, ჩვენ არ ვიცით, ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ მას ყველაფერში უსიცოცხლობა და უენერგიობა ეტყობა. ავიღოთ კიდევ მაგალითისთვის წიგნების ბეჭდვის საქმე, რასაც წერა-კითხვის გავრცელებაში სკოლებსა და ბიბლიოთეკებს შემდეგ პირველი ალაგი უნდა ეჭიროს. 22 წლის განმავლობაში „საზოგადოებას“ გამოუცია სულ 43 სხვა-და-სხვა წიგნი, ე. ი. წელიწადში რაღაც ორ-ორი წიგნი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ გამოცემათა უმეტესი ნაწილი პატარ-პატარა ბროშიურებია, ეს რიცხვი ძლიერ მცირე უნდა იყოს. 22 წელიწადი ცოტა დრო არ არის. ამასთანავე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ „საზოგადოების“ გამოცემათა უმრავლესობა ხალხისთვის საინტერესო არ არის და ამიტომ არც გავრცელდება. „საზოგადოებას“ აქვს მხოლოდ რამდენიმე გამოცემა, რომლებიც არა თუ ფარავენ სხვა გამოცემათა ზარალს, არამედ საკმარის მოგებასაც ტოვებენ. მე ვამბობ ბ-ნ ი. გოგებაშვილის წიგნებზე. საანგარიშო წელს «საზოგადოების» მალაზიაში და ქალაქ გარეთ გაყიდულა სულ 12869 მან. 75 კაპ. წიგნები, ამათში მარტო ბ-ნ გოგებაშვილისა გაყიდულია 9980 მან. და 36 კაპ. \*). აქედან აშკარაა, რომ ბ. გოგებაშვილის წიგნებით ვაჭრობა შეადგენს საზოგადოებასთვის უმთავრეს ოპერაციას. ჩაიგდო რა ხელში ეს ადვილათ გასასაღებელი საქონელი, სხვა გამოცემებისთვის აღარ ზრუნავს, კარგი იქნება ეს თუ ავი, სულ ერთია, ოღონდ თავის დასამშვენებლათ დაბეჭდოს კი კიდევ რამდენიმე წიგნაკი. მაგალითისთვის დავასახელებთ საანგარიშო წელს გამოცემულ წიგნებს: 1) «დედა-ენა» ი. გოგებაშვილისა, 2) «იანანამ რა ჰქმნა?» — მისივე, 3) კრებული — ჯაჯანაშვილისა, 4) «წყარო» არ. ქუთათელიაძი-

სა და 5) სიმღერები ფ. ქორიძისა. — ეს განმარტებას აღარ საჭიროებს. თუ დავინახავთ მათგან რომელიმე, იმდენად არ საჭიროებს განმარტებას არც «საზოგადოების» ფოტოგრაფიის მდგომარეობა. თავიდანვე მოსალოდნელი იყო ჩვენი «ბურჯების» გამგეობით ფოტოგრაფია «საზოგადოებისთვის» მეტ ბარგათ გადაიქცეოდა. ეს ასეც მოხდა. ეს ორი წელიწადია, რაც ფოტოგრაფია «საზოგადოების» გამგეობის ქვეშ იმყოფება და ეს საკმარისათ დაეტყო მას. პირველ ყოვლისა ეს ორი წელიწადი გამგეობამ ფოტოგრაფიის აქეთ-იქით ტარებას მოანდომა, თითქო სიარულის შესწავლა ყოფილიყოს მისთვის საჭირო. ამას ის მოყვა შედეგათ, რომ ის სასარგებლოდ დაწესებულება, რომლის მოწყობას განსვენებულმა როინაშვილმა მოანდომა ამოდენა შრომა და ენერგია, უკან-უკან მიდის და ილუბება. «სამწუხაროთ—ვკითხულობთ 1900 წლის ანგარიშში — საზოგადოებამ წელს ფოტოგრაფიის წარმოებით ზარალი ნახაო» (გვ. 55). დიახ, სამწუხაროა, რომ იმ საქმეს, რომელსაც სხვის ხელში მხოლოდ მოგება მოჰქონდა, თქვენ ხელში ზარალის მეტი არა მოაქვს-რა. თუმცა შემდეგ იქვე ვკითხულობთ, რომ „საზოგადოება“ ფოტოგრაფიის ამა ორი წლის წარმოებით კიდევ მოგებაშიაო, მაგრამ ამით მხოლოდ თავის თავი მოატყუილეთ. საკვირველია თქვენმა მხემ! სხვისი მოქმედებით ანგარიშს ასწორებენ და თავის შეცდომას მალვენ. «საზოგადოების» ანგარიშებიდან ჩვენ ის დასკვნა გამოგვყავს, რომ თუ რასმეს აკეთებს ამ საქმეში, ეს ისევ პროვინციალური კომიტეტები. საანგარიშო წელს, მაგ., საქველ-მოქმედო საღამოებს რომ თავი დავანებოთ, პროვინციების სასკოლო კომიტეტებს შეუგროვებიათ 10,405 მან. და ეს რიცხვი ხომ „საზოგადოების“ მთელი შემოსავლის ნახევარზე მეტია. ერთი სიტყვით, „საზოგადოების“ გამგეობა ტყუილა ჩემულობს გამგებლობას; მისი გამგებლობა გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ სხვების მოქმედება მიითვისოს და თავის ანგარიშში შეიტანოს. მორჩა და გათავდა. და რადგანაც ამას დიდი ანი და ბანი არ უნდა, ამიტომ „ქუიან“ კაცებს საზოგადოების გამგეობისთვის ხელი შეუშვიათ; „ანგარიშის“ 16 გვერდზე ვკითხულობთ: გამგეობის თავმჯდომარე თავ. ი. გ. ჭავჭავაძე და იმავე გამგეობის წევრი თავ. ი. გ. აბაშიძე კრებებს ვერ ესწრებოდენ, პირველი ავადმყოფობისა, ხოლო მეორე სხვაგან გადაყვანის გამო. ამას ჩვენ ის უნდა მივუმატოთ, რომ ფრაზა: „პირველი ავადმყოფობისა, ხოლო მეორე სხვაგან გადაყვანისა გამო“ შეცდომით უნდა იყოს აქ ჩართული!

მოსაუბრე.

სხვადასხვა ამბები

წარსულ კვირას ნაძალადევში გაიხსნა სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

თფილისის პოლიცემისტერის ანგარიშიდან ჩანს, რომ წარსულ წელს თფილისში სულ 263 სამრეწველო ქარხანა ყოფილა. მუშაობდა 5,377 კაცი. საანგარიშო წელს დაუშუშავებიათ საერთოთ ყველა ქარხნებში 8 მილ. 59,000 მანეთის საქონელი.

ოთხშაბათს, 27 ივნისს, კავკასიის საექიმო საზოგადოების დარბაზში მოხდა კავკასიის ფარმაცევტთა საზო-

\*) აქ მიღებულია მხედველობაში მხოლოდ „საზოგადოების“ გამოცემანი. ამას გარდა „საზოგადოებას“ გაუყიდა კიდევ 4476 მან. 83 კაპ. ამავე ავტორის წიგნის, გამოცემული გრიჭეროვის მიერ.



გაღო კრება, რომელზედაც არჩეულ იქმნენ ერთი წლის ვალით საზოგადოების თავმჯდომარეთ ილია აღმაშენებელი, თავმჯდომარის ამხანაგათ ფ. ოტტენი, კასირათ— ე. ზემმელი, სეკრეტრათ—კოვარსკი, ბიბლიოთეკრათ (იგივე გამგეობის წევრი) სარდიონ მამალაძე. გამგეობის წევრების კანდიდატებათ პროვიზორები: მნიეიდერი, სარქისოვი და პრეისბერგი. სარევიზიო კომისიის წევრებათ არჩეულ იქმნენ აფთეკარი ჯორჯოვი და სამხედრო ფარმაცევტი ერნი.

ქალაქის ღამის თავ-შესაფარის გამგე კომისიის განკარგულებით, თავ-შესაფარი სახლებიდან გამორეკეს ყველა უბინაო, რომელნიც იქ აფარებდნენ თავს ღამ-ღამობით. ამათგან წარსულ კვირას პოლიციას დაუტერია უპასპორტობის გამო 60 კაც. ბევრი მათგანი ღამე ქუჩაზე წევს. სხვათა შორის თავშესაფარ სახლიდან გამოურეკიათ ექვსი ოჯახი, რომელიც ჩამოვიდა სოფლიდან პასტერის სადგურზე ასატრელათ.

წელს ქუთაისის გუბერნიის ოთხ მაზრაში გაყიდულა 60 ათასი კოლოფი, ე. ი. 400 ათასი მისხალი აბრეშუმის თესლი.

თავ. ქობულაშვილი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სწირავს 10 დესეტინა მიწას იმ პირობით, თუ რომ საბაღოსო სკოლა თელავის მაზრაში იქნება გაღატანილი.

ბათუმის 25 იენისის საბჭოს კრებაზე დაუდგენიათ, რომ სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში კვირა-უქმედდეს ვაჭრობა სწარმოებდეს მხოლოდ ერთი საათით, 12-დან პირველ საათამდე.

მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ ერევნის რკინის გზის შტო დათავებულ იქმნას პირველ იანვრამდე.

განსაკუთრებული კანონის ძალით ებრაელებს ნება აქვთ მოჰკიდონ ხელი მხოლოდ ზოგიერთ კანონითვე აღნიშნულ ხელობათ. როგორც შეუქმნევია თფილისის პოლიცემისტერს, თფილისში მცხოვრებ ებრაელებს დაურღვევიათ ეს კანონი, ამიტომ მან განკარგულება მოახდინა და უბრძანა კანონის დამრღვევ ებრაელებს, რომ მათ ერთი თვის განმავლობაში გაყიდონ საქონელი, რომელიც დამუშავებულია მათთვის არა სათანადო მუშაობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გაიგზავნებიან თფილისიდან.

თფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა თფილისის პოლიცემისტერს შეატყობინოს მას რამდენი ებრაელია თფილისში დანტისტათ, კბილის ექიმათ, ბებია ქალათ, ფერშლათ და სხვ.

ბაქოელ ნოქრებს კვლავ აღუძრავთ შუამდგომლობა, რომ მათ კვირა-უქმედდებში შეუქმცირდეთ სამუშაო დრო. გუბერნატორს უცნობებია ამის შესახებ, რომ ეს საქმე გადაწყვეტილია და მის შესახებ განკარგულება არის მოხდენილი.

ჩვენ მივიღეთ კავკასიის გამსწორებელ კანონის და თავ-შესაფარის საზოგადოების 1900 წლის ანგარიში. საზოგადოებას საანგარიშო წელს ავქალის კალონიაში ყოლია სულ 59 მცირეწლოვანი; ამათგან საანგარიშო წელს შესულა 24, რომელთაგან 17 გლეხია, 1 სალდათის შვილი, 5 მოქალაქე და ერთიც აზნაური. ამავე წელს ა. ი. მანთაშევს აუგია კალონიისათვის თავის ხარჯით საქირო შენობა, რომელშიაც მოუთავსებიათ სასადილო, მასწავლებელ-აღმზრდელთა ბინები და სხვ. ეს შენობა დამჯდარა 25 ათასი მან.

კანონთა დებულებაში გამოქვეყნებულია: 1901 წ. პირველ იანვრიდან შეწყვეტილია ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ჯამაგირიდან 60/100 და სასადილო ფულის გამოორიცხვა. ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოხელეთ, როგორც სამსახურში მყოფთ, ისე სამსახურიდან გამოსულებს და დათხოვნილებს, რომელნიც საპენსიო კასაში მონაწილეობას იღებდნენ 1888 წლ. 1 იანვრიდან საპენსიო ფონდის გასაძლიერებლათ შეტანილი ფული უსარგებლოთ უკანვე დაუბრუნდეთ. გარდაცვლებულ მოხელეთა საკუთნო ფული მათ მემკვიდრეებს დაუბრუნდებათ. სარგებელი, საპენსიო კასის თანხის სარგებლიან ქალაღებისა, მოხმარდება იმ ხარჯს, რომელიც აღნიშნულ ქალაღების ბირჟაზე გაყიდვას მოჰყვება, ამ სარგებლის მეორე ნაწილი გადაეცემა ფოსტა-ტელეგრაფის ხელ-უხლელ თანხას.

გამოცხადდა შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი, რომელიც ადგენს საქველ-მოქმედო ლატარიების ახალ წესებს. ეს ცირკულიარი გამოუწვევია ლატარიების ნამეტან გავრცელებას და უფრო კი იმას, რომ ლატარიებით სარგებლობა დაუწყიათ არა-საქველმოქმედო საზოგადოებათ და დაწესებულებათ. როგორც სამართლიანათ შენიშნავს ცირკულიარი, ჩვენი კანონი არასოდეს არ თანაუგრძობდა ლატარიების გავრცელებას, რადგან ისინი ისეთ ინსტინქტებს ამტკიცებენ საზოგადოებაში, რომელთა გავრცელება არ არის სასურველი. უმთავრესი, რასაკვირველია, თვით მოგებით გატაცების სურვილია, რომელიც ითრევს ბევრს შეუძლოსა და ხშირათ უკანასკნელ გროშსაც აღებინებს ჯიბიდან. ასეთს ხასიათს არ არიან მოკლებულნი საქველმოქმედო ლატარიებიც და ამიტომ მათი გაწესრიგება ერთობ საქირო იყო.

ახალი წესებით ლატარიების გამართვის ნება ეძლევათ მხოლოდ საქველმოქმედო საზოგადოებათ, რომელნიც კანონისაგან დამტკიცებულ წესდების ძალით არსებობენ (§ 1), და განსაკუთრებულ პირობებში (ომანობა, წყალ-ღრდობა და სხ. ამგვ.) თანამდებობის და კერძო პირებსაც (§ 3) ჯამი ლატარიისა ერთი წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს საზოგადოების შემოსავლის მესამედს და არას შემთხვევაში 1500 მანეთზე მეტი არ უნდა იქნეს (§ 5). ნება-რთვა მიიღება შინაგან საქმეთა მინისტრისაგან გუბერნატორების შუამდგომლობით (§ 6). ლატარიებზე ბილეთებს ვერ მიყიდიან მცირეწლოვანთ და ნალენივე კაცს და სხვ.

გამოვიდა და დაურეღდა ხელის-მომწეროებს მეექვსე ნომერი საყმაწვილო ჟურნალის «ჯეჯილისა».

შინაურნი მიმოხილვა.

ჩვენებური ანდაზა ამბობს: «ქართელი თუ გასომხდა, სომეხზე უარესია». მე კი მგონია, რომ ქართველი ყოველთვის სომეხზე უარესია, გაქართველებულია იგი თუ





გასომხებული, იმდენათ მოუშნადებელი ვართ თანამედროვე ცხოვრებისათვის. მაინც «გასომხება» სასიამოვნო მოვლენაა, რადგან იგი ვაჭრობა-მრეწველობაში ჩაბმას ნიშნავს, და ჩვენც ხომ დავადექით ამ გზას. აიღეთ მაგალითათ ათი-ხუთმეტი წლის წინათ მიყრუებული იმერეთის სოფელი ჭიათურა და მისი მიდამოები. ეინ წარმოიდგენდა, თუ ასე ახლო მომავალში, ან სულ, იგი მიიპყრობდა კაცობრიობის ყურადღებას, და ბერლინელი კაპიტალისტების სინდიკატსაც კი აუშლიდა მადას?... რასაკვირველია, ვერაფერ, მარა დღეს მათი წარმომადგენლები ჩვენში არიან და „ჩვენ“ შავი-ქვის მწარმოებლებს პირობით ეკვრიან. დარწმუნებული ვართ, ბერლინელი კაპიტალისტები თავის საზარალს არაფერს გამოიწყებენ და ვერც „მცოდნე და ენერგიით სავსე“ შავი-ქვის მოსაქმე (ДЪЛЕЦЬ) ჩაითრევს ისე, რომ მათი ფულით ჩვენი მხარე გაამდიდროს, მარა მაინც საინტერესოა ეს მოვლენა, ჩვენი „გასომხების“ გზაზე დადგომას გვიმტკიცებს. ენახოთ რა გამოვა რისაგან...

\*\*\*

მართლაც, ჭიათურას ამიერ-კავკასიის წარმოებაში მეორე ადგილი უჭირავს ბაქოს შემდეგ და მომავალიც დიდი აქვს: ის დღითი დღე მსოფლიო მნიშვნელობას მატულობს და თან ძველებური ელფერი ეკარგება, მარა ჯერ-ჯერობით მაინც ჩვენებური ხასიათი აქვს და ბერს ახირებულობას წარმოგვიდგენს. აიღეთ თუნდ იქაური ექიმები. ბ. ვას. წერეთელი, სანამ ჭიათურაში იყო და იქაურ ქსენონს განაგებდა, შემდეგ, როცა შავი-ქვის მწარმოებელთა კრება იყო და კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდნენ საბჭოს მოღვაწეობას, როცა ყოველი ფაქტი ხელს უწყობდა საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტას, გაჩუმებული იყო და თფილისიდან გულ-გრილათ შეცქეროდა, კრინტი არ დაუძრავს არც ზღანოვიჩის და არც საბჭოს წინააღმდეგ. ახლა კი, არ ვიცით რა მოსიზმრებია, ან შეიძლება რაკველ კაცსავეთ ორი წლის შემდეგ მოუვიდა გული, გამოდის და იწყებს საბჭოს კრიტიკას. კრიტიკა არასოდეს არაა მეტი, მარა ყველაფერი დროზე უნდა; თუ მართლა იქაური ქსენონი, იქაური ბინები და სხ. ისეთ საშინელებას წარმოადგენდა (რაშიაც ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს), რომ არათუ დანტეს, ვასილ წერეთლის კალმით აწერილი სურათიც კი შიშის ზარსა სცემს ადამიანს, ნუ თუ აქამდინ ვერ უწია ბ. ექიმს ამ შიშის ზარმა? ძალიან ჩლუნგი ნერვები და დინჯი შთაბეჭდილების გადაცემა ჰქონებია პატივცემულ ექიმს, მარა შეიძლება ორი წელი გათბობას მოანდომა საბრალოდ, ისე გაიყინა უშეშობით.

\*\*\*

მაინც, ადრე თუ გვიან, ჭიათურის ყოფილმა ექიმმა თავისი აზრი და შთაბეჭდილება გადმოგვცა, დაგვიხატა ნამდვილი სურათი იქაურობისა. სულ სხვაა ახლანდელი ექიმი ბ. ს. ჯაფარიძე, რომელიც თვისი მოქმედებით, უფრო კი უმოქმედობით, თავისი კოლლეგის აზრს აქარწყლებს. ბ. ჯაფარიძეს, როცა კაც ჩვენი კორესპონდენტი გადმოგვცემს, სულ... ძინავს და ძინავს: სძინავს დილის ცხრა საათზე, ათზე, თერთმეტზე, თორმეტზე და შეიძლება შემდეგაც, სანამ სასადილოთ გააღვიძებს მსახური. მეორე შესაძლებელია ასეთი ქცევა, და ისიც ახალგაზდა ექიმისაგან, იქ, სადაც ბ. ვ. წერეთლის სიტყვით ისეთი საშინელება ხდება? არა თუ შესაძლებელი, წარმოუდგენელია, და უნდა ვიფიქროთ, ნ ავ. წერეთელს გაჰყვა თან ყოველ-

გვარი სწეულება, ან ჯაფარიძის ჩამოსვლამ ისე დააფრთხო მიკრობები და ბაცილები, რომ ჭიათურას ახლოც ვერ ეკარებინ, უმათოთ კი, მოგესხენებათ, ავადმყოფობა არ არის. ბედნიერია ჭიათურა! რა ვუყოთ, რომ ჩვენი კორესპონდენტიც იწერება ავადმყოფები იმ ზომამდე მიდიან, რომ ლამის ექიმის სახლის კარები ჩაამტერიონო. არ ვიცით ვის ვენდოთ, ვის დავუჯეროთ და ისევე მკითხველებს და ჭიათურელებისათვის მიგვიჩვენია ამ მძიმე საკითხის გადაწყვეტა. ჩვენის მხრით, ექიმების ნამეტანი ძილი-საგან დახაშვის ასაცილებლათ, წინადადებას ვიძლევი: მოისპოს ექიმებისთვის ჯამაგირიანი ადგილები და მაშინ ენახოთ რამდენს იძინებენ...


\*\*\*

ექიმს არ შეშვენის თორემ, საზოგადოთ ახლა ძილის სეზონია. კრებები დამთავრდა, ყველა აგარაკებზე გადის მოსასვენებლათ და დანაკლისი ძილის შესავსებათ. არ ძინავთ მხოლოდ ქუთათურ ქალებს, რომელთაც რისთვისაც ამ სიცხეში მოგონებით საზოგადო საქმეები და მათ მოწესრიგებას შედგომიან. განუზრახავთ „მცირე ძმათა“ განათლების საქმის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება; უნდათ სამი სიმატიური საქმე: საკვირაო სკოლა, სახალხო ბიბლიოთეკა და სახალხო თეატრი შეაერთონ. როგორც გვატყობინებენ, საჭირო... კომისიებიც კი აურჩევიათ და იმედია საქმე გაიჩარხება... თუ ცოტა რამემ არ შეუშალათ ხელი, სახელდობრ, ქონებრივი სახსრის უქონლობამ. ეს შეერთების კითხვა აღძრა იმ შემთხვევამ, რომ სახალხო თეატრის წრეს უფიქრია საკუთარი თეატრის შენობის აგება და ამ კითხვის შესახებ ბჭობის დროს მოსვლიათ თავში, მოდი ორი ჩვენი თანამოღვაწე წრეებიც მოვიწვიოთ, შეერთებული ძალით უფრო მალე ავაშენებთ ქალაქს... უკაცრავათ, სახალხო სახლსო. თქმა და შესრულება ერთი იყო თურმე, კომისიებიც აურჩევიათ და ინჟინერიც მოუნახავთ, რომელიც მომავალი „სახალხო სახლის“ გეგმას ადგენს. ფული? ფული აქვთ: სახალხო თეატრის კომისიას აქვს 130—150 მან., ერთი ამდენიც ჭიათურის წარმოდგენებიდან დარჩებათ წლის ბოლოს და თუ ამდენ-ამდენი სხვა ორმა წრემაც შემოიტანა, საქმე მკვიდრ ნიადაგზე დადგება... ისე, როგორც ყველა სხვა ჩვენებური საქმე. ასე ვიცით საქმის დაწყება...

\*\*\*

დაწყების რა მოგახსენოთ და საქმის დაბოლოება კარგი ცოდნით ბათომელებს. უკანასკნელ ხანებში ბათომის საჭირობოროტო და თავსატეხ საქმეთ საბჭოსა და გამგეობის ერთის წევრის (ბ. ივანოვის) შეტაკება და უთანხმოება შეიქნა, რომელმაც მთელი ჩვენი და რუსეთის პრესა აალაპარაკა; აიჩიეს კომისიები, რევიზორები, რომელთაც ბევრი რამ საყურადღებო აღმოაჩინეს, და ყველა საეკვეო ბრალდება დაატყვიდა; ბ. ივანოვი წარსდგა საბჭოს — და მით მკითხველი რუსეთის წინაშე — მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, ნამდვილი ზნეობრივი ფიზიონომიით და საბჭომ გაიმარჯვა, გაიმარჯვა ორნაირათ; ერთი, რომ აღძრული ეჭვები უმართლო არ გამოდგა და მით უბრალოთ და უდანაშაულოთ არ გაილანძლა, არამედ სრულიად ღირსეულათ; მეორეც, საბჭო არ შეუშინდა თავის გამგეობის გაჩხრეკას და მით ფრანგების იმ დიდებულ ჩვეულებას მიჰყვა, რომლებსაც არ რცხვენიათ ქუჩიანი სარეცხის გარეთ გამოტანის, ოღონდ შინ წმინდათ იყვენ. ასე ვფიქ-





რობდით უკანასკნელ კრებამდინ, რომელსაც საბოლოოთ უნდა გადაეწყვიტა ბ. ივანოვის საქმე და სწორეთ აქ შეიცვალა ღრამა ვოდვეილათ. როცა ერთმა ხმოსანმა წინადადება შეიტანა, იმდენათ საქმაო საბუთები გვაქვს ხელში ბ. ივანოვის დანაშაულისა, რომ საქიროა მისი საქმე სასამართლოს გადაცეთო და გთხოვთ ასეთი დადგენილება მიიღოთო, გამგეობამაც და საბჭომაც უკან დაიხიეს. არ ვიცით რით ხელმძღვანელობდა ან ერთი ან მეორე, მხოლოთ ის დასკვნა, რომელიც ერთ ხმოსანს გამოეტანა, იყო ერთათ ერთი ლოლიკური დასკვნა, საბჭომ კი ულოლიკობა არჩია; უარყო წინადადება, ამდენი ხნის „ნამსახური“ ივანოვი ვერ გაიმეტა. შეიძლება გულ-კეთილობა ამას მოითხოვდა, მაგრამ ულოლიკობას და გულ-კეთილობას ის მოჰყვა, რომ ბ. ივანოვი, თუმცა ორჯერ გაშავებული ღიდი უმრავლესობით, ისევე ამ მისი გამაშავებელი საბჭოს გამგეობის წევრათ დარჩა. ასეთია ყოველთვის ულოლიკობის შედეგი!.. რაც შეეხება თვით ბ. ივანოვს, ის კმაყოფილია თავის ბედის...

**კორექსონდენციები.**

**ჰიამთრა.** არა ერთხელ აღენიშნათ ჩვენი უფრთხლ-გაზეთების ფურცლებზე ჭიათურის ავ-გარკვი, მაგრამ ერთი საკითხი, ჩემის აზრით, უოკელთვის დაიწყოებული იყო. მე ვამბობ ჭიათურის მეშათა ქსენონსე. რამდენჯერმე შემსვდა ქსენონის კარებადის მისვლას და საათობითაც ცდა; მსოლოთ უარ-ყოფილი უკანვე დაგებრუნებულვარ! მე, როგორც ქსენონთან ასლას მდგომმა, თვით ექიმის ბინაზედაც სუთჯერ-ექვსჯერ მისვლას არაწათ ხანუვალე, მაგრამ ის კი არ არის მოსაწონი ასლგაზდა ექიმისაგან, რაც იქ შორიდან მოსულებს ემართებათ. ვინც რომ უნდა ხანას იმ დროს ჭიათურის ქსენონი, იფიქრებს, რომ ავადყოფების დასასჯელათ ყოფილას იგი დაარსებული და არა გასაკურნებლათო. დანაშნულ ადგილას რომ ველარ ვადირსე ექიმის ხანას, შემდეგ ბინაზედაც ვესტუმრე; იქაც დამსვლენ ექიმის მხსველები. მეც რინსვთა შორის დაუწყო ცდა; ბოლოს მოთმინებიდან გამოსული შეგვეითსე მისამსახურეს: «შეიძლება ექიმი სასლში არ იყოს-მეთქი!» რომელმაც თავისიანათ მიზანსუხს: «როგორ არა, ბატონო, სასლში ბრძანდება, მსოლოთ მინაგს და ჯერ არ ადგება» \*). «მაშ რადის უნდა ადგეს?!» შევევითსე კვალად. «ასე, თერთმეტ საათზე ან თორმეტის ხანსეარსეო». დავსედე საათს და მართლდაც თერთმეტი თავდებოდა. მაშინ კი მომაგონდა ერთი ლექსის შეწიერე ტაქში:

«დილითა ადრე ჩემს კარების წინ  
ფურცკარკითა სალსი გროვდება,  
მაგრამ მეც ადრე სსვესავით ავდბე,  
არც შემშენდება, არც მეკადრება-ო.»

გავიმორე ეს და, საიდანაც მოკედი, იქითვე გავუდექე ბზას. ამის წინა მოადგილე იყო ის მამაცსონებული და, მოცოქელს

\*) წინაზედ აქ ავთ ვანდა ანთებით ბ. ყაზაიშვილი, რისთვისაც საჩქაროთ მოიწვიეს ადგილობრივი ქსენონის ექიმი, მაგრამ ჭირისუფლის თხოვნა-მუდარებას უურადლებაც არ მოაქცია, სანამ მეორეთ არ გაუგზავნეს კაცი. მეორე შემთხვევა: ადგილობრივი მოკაჭრე, აწ უკვე გარდაცვალებული ყ. გურული, თავში ანთებით ჭყუაზე შეიშალა, რისთვისაც დილიდან სალამოდის ენეწუნ ამავე ექიმს და, თუმცა ერთ-ორათ მეტი გასამრფელო მიართვეს, მაგრამ სალამოდის არ ინახულა ავადყოფი და მაშინაც დიდი დამადლებით.

უგზავნიდა მომკითხავს: «თუ ამდენს და ამდენს არ მომცემ, კერწ წამოგვეუბი და კერწ გავსინჯავო» \*) უკანასკნელი ბრძანდება \*\*) და. თუმცაღა ფულის თხოვნაში უფრო გულკეთილობას იჩინს, მაგრამ რათ ვინდა! არც ფული მოსოვოს და კელარც ვნახო, ეს სომ უარესი უნდა იყოს. ამაში შენც დამეთანხმები, მკითხველო, ისიც ვისკან, იცი? ვალდებულისაგან! თავათ ეს გვაქვს დღეს სავალალოთ და სამწუხაროთ, რომ ჩვენვე მაწის შეილება ასე გულცივთ გვეპურობან, ჩვენდა საუბედროთ. აი ამნაირი გულშეუტკივრობა და უთანაგრძნობა სუფევს ზოგიერთ განათლებულთ გულში სალსისადმი. საკვირველია, ღმერთმანი, ჩვენი ასლგაზრდები! სასამუნავერსატეტის კვლებს გამოშორდებოჯენ, მათ გვესნატრებასს საზღვარი არა აქვს, მაგრამ დიშლომს და იბად ადგილებს რომ იგდებენ სელში, აღარც ერთი ასსოკოთ და აღარც მეორე.

გ. ნანული.

**იძილანვი.** 21 ამ თვეს გაისისა ჭიათურის «სასლსო თეატრი». ბ. ფ. ქორიძემ გამართა კონცერტი, რომელსაც საზოგადოება ბლომათ დაესწრო. «სასლსის» წარმომადგენელი კი სრულებითაც არ იყო თეატრში, მაგრამ ბეგრი არაფერი წაუგია. კონცერტმა საზოგადოთ ცუდათ ჩაიარა, თუმცა სიმღერები კარგი იყო არჩეული, მაგრამ აღსრულების კი რა მოგასსენოთ! განსაკუთრებით სუსტი იყო ბ. ფ. ქორიძის სორო. სორო შემდგარი იყო ათი კაცისაგან, რომლებიც სადღაც მოკვროვებინა ბ. ფ. ქორიძეს. სწორათ გაიგონებდით თეატრში: «მაგათ ჩამოყვანის მაგიერათ აქ შეკვროვებთ მომღერლები, ბეგრათ უკეთესი იქნებოდაო», და ეს მართალიც იყო. სალსიტეში უკვლახე მეტათ საზოგადოებამ მოიწონა ქ. კეკელაძე, რომელმაც მართლს საუცსოგოთ დასრულა ზოგიერთი სიმღერები, რომლებიც ზროვრამაში არ იყო შეტანილი და საზოგადოების თხოვნით იმღერა.

პარმანი.

**P. S.** აქვე თეატრში ჰატეგრეიული ქ. მ. ს. წერეთლის ასული ხელისმწერით აგროვებდა ფულს რაფიელის ფონდისათვის. ეტეობა საზოგადოებაც სიამოვნებით ეგებება ამ საქმეს. ჯერ-ჯერობით შეკრებილია 75 მან.

პარმანი.

**დ. ხონი.** ამ წელში სონმა დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ სწავლა-განათლებას საქმეში. აქ ამ საფხულს დაარსდა სტ. ვ. უ. შავდას, პ. გ. მდივანის და ბ. ი. ი. ქეთათელაძის მეცადინეობით საზაფხულო თეატრი და სამკითხველო. დიდი ხანია, რაც დ. ხონში სამკითხველოს დაარსების შესახებ ღაზანკვი დაიწყო, კრებებიც იმართებოდა, ფულიც იკრებოდა (ეს ფული ჭქონდა ხაზარებული აწ განსვენებულ სტ. ვ. უ. ქეთათელაძეს), მაგრამ ღაზანკვი ღაზანკვით რჩებოდა. უწინ უფრო მეტი პირები ცდილობდენ დაეარსებიათ სამკითხველო დ. ხონში, მაგრამ ამის შეკრულებლობის მიზეზი იყო ერთმანეთ შორის მომხდარი უთანხმოება, წელს კი ბ. ბ. სტ. ვ. უ. შავდას, პ. გ. მდივანმა და ბ. ი. ი. ქეთათელაძემ იკისრეს ეს მეტათ საჭირო საქმეები დ. ხონისთვის და კიდევ მიადწიეს თავიანთ მიზანს. უწინ დაარსდა დ. ხონში წრევანდელი-ვე ასლათ დაწეებული საქმე ამ პირებისაგანვე, საზაფხულო

\*\*) ექიმი ვასილ წერეთელი, რომელთანაც შემთხვევით ერთმა შორიდან მოსულმა ავადყოფმა მე მთხოვა 50 კაპ. — ექიმს უნდა მიეცე, ისე არ გამსინჯაო.  
\*\*\*) ადგილობრივი ქსენონის ექიმი ბ. სიმონ ჯაფარიძე.





წარმოდგენები, ამით იჭირავს ადგილი, აკეს ზედ შენობა და შემდეგ დაიწყო წარმოდგენები. ერთსელ თვით ბ. მუსხიველი ჩამოვიდა და წარმოდგინა «ბედს ვერ წაუხვალ» და «ორი გმირი», რომელზედაც სალხი ძლიერ ბლამით დაესწრო. შემდეგ თეატრისა დაარსდა სამკითხველო. სამკითხველოს მოდის სსკა-და-სსკა გაზეთები და ჟურნალები, თუმცა ჯერ-ჯერობით წიგნები არ აქვს, მაგრამ ისიც მალე ექნება.

ზარკის მანანდა წელს ხონში ძლიერ დანემული იყო (1 თ. 6—8 მ.), თუმცა შეიდეგლები ბევრი იყვნენ და ვეულებს მათგანი ცდილობდა ბევრი ევიდნა. ეს აისახება მსოფლიო იმითი, რომ აბრეშუმის თესლი წელს აქ ძლიერ ბევრი იყო დარბეზული, რომელიც მომეტებული ნაწილი გაფუტდა. შეიდეგლებმა ეს კარგათ იცოდნენ, რომ თესლი ბლამით იყო დარბეზული და, რადგანაც ზარკის ბლამით მოკლდნენ, ფასებს არ მოუმატეს.

მიზა.

**ბ. ბათუმი.** ბათუმის საბჭოს 25 ამ თუას მორიგო სსდომამ ამ წყნულში უკანასკნელი სსდომამ იყო. საბჭოს მოსსენდა გუბერნატორის მოადგილის ბრძანება, რომლის ძალით ივანოვი დაინიშნა ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრად. სმოსსამა გ. ჩქვიძემ წინადადება მისცა საბჭოს, რომ განესაზღვრებინათ გუბერნატორის მოადგილის მიერ ბ-ნ ივანოვის წევრად დაინიშნა იმ მოსაზრებით, რომ მეორე არსებობს არსებულ იქნას გამგეობის წევრად ბ-ნი მარკვეინი, სოფლა მათ თავის ნებით უარი განაცხადა ამ თანამდებობაზე, მაშ მორიგევი არსებობს ურეზულტატით არ დარჩენილა და ამიტომ ჩვეს ნება უხდა გვერდებს გამგეობის წევრის არსებობა. საბჭომ 12 სმით წინააღმდეგ 9 სმისა მიიღო ეს წინადადება.

ჭაობების განამარბათ გამგეობა თხოვლობდა საბჭოს თანხმობას 217892 მ. 30 გ. გრადიტის გამომოსვლის შესახებ. სმოსსენბი შეეკითხნენ თავმჯდომარეს, ბ-ნი ივანოვი, რომ აესსნა მას საბჭოსთვის, თუ რა მდგომარეობაშია ჭაობების გამარბობის საქმე. ერთხანს ბ-ნი ივანოვი იძლია ვასუხი, მარა რა შეატყო, რომ თითონ მასი ვასუხები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებოდნენ — აღიარა: მე თითონ არაფერი ვიცი ამ საქმის შესახებ. საბჭომ დააკლა გამგეობის, წარმოდგინოს მას საბჭოს ამ საქმის შესახებ მოხსენება და გრადიტის გამომოსვლის საქმეც მხანძრე გადიდო. დაკმაყოფილებულ იქნა თხოვნა საქალბო და სახელმწიფო სასწავლებლებისა ქალაქის მიერ უფასოთ წელის მიღით გაყვანა ამ სასწავლებლებისათვის. ბ-ნი გ. ჩქვიძემ თხოვა საბჭოს, რომ გაეყვანათ ძლიერ წყალი ბუჩხებისა და ქართულ სასწავლებლებისათვისაც. საბჭომ მიიღო ეს თხოვნაც. განსაზღვრულ იქნა დრო კვირა-უქმე დღეებში ძალისებების დასურვისა. საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილება, რომლითაც მანახები კვირა-უქმე დღეებში უნდა გაიღოს 12 საათიდან 2 საათამდე. დასასრულ უხდა მოძნდარიყო ქალაქის თავის მოადგილის არჩევა. ჩავიდნენ რა ამ კითხვაზე, ბ-ნი ივანოვი განაცხადა: „რადგან საბჭომ განსაზღვრა გუბერნატორის მიერ ჩემი წევრად დაინიშნა, ამიტომ ქალაქის თავის მოადგილას არჩევანი უნდა გადადებულ იქნას სენატის განმარტებამდისო“ სმოსსენბის უმრავლესობამ მოასსენა, რომ განონისამებ არჩევანა ახლა უნდა მოხდეს, მარა ბ-ნი ივანოვი გადაიძრო ვაჭკვი და „კარება იხურებაო“, განაცხადა: მოისმის სმები: ეს უკანონობაა, თქვენ უკანონობას ჩადისართო. ბ-ნი ივანოვი გავიდა. გავიდნენ აბრეშუმე ზაღმა და ივანოვის სსკა მოტრეფადენა. საბჭოს დაიბნემა დაჩინილმა საბჭოს უმრავ-

ვლესობამ (რიცხვით 20-მა) თხოვა ბ-ნი გ. ვოლსკის განკრძო ივანოვას მიერ უკანონო დასურული კარება. ბ-ნი ვოლსკიმ დაიჭირა თავმჯდომარის ალაგი. ქალაქის თავის მოადგილეთ კეხტი უფარეს ბ-ნი გ. ვოლსკის და ბ-ნი ივანოვის. არსებულ იქნა შირველი 17 სმით, წინააღმდეგ 3-სა, ივანოვი 3 თუთრი მოუკადა და 17 შავი. ეს მოთხვეუდა, რომ ბ. ივანოვი შავლება ბათუმის ქალაქის საბჭოში.

X.

### რუსეთის ცსოვრება.

გაზეთ «Россия»-ში დაბეჭდილია უძალესი საქალბო გურსების ეთი მსმენელი ქალის წერილი, რომელშიაც ნახუნებაა დღევანდელ უძალეს საქალბო გურსების საკლუდეკსეზანი. ავტორი, აღნიშნავს-რა გურსებზე ასალი ენების შესაფერათ მოწუბას და ლიტერატურის შესწავლის შემოდებას, სსკათა შორის ამბობს: «უძალეს სასწავლებელში, ქალბის იქნება ეს თუ ვაყბის, უსათუოთ უნდა ასწავლიდნენ სასულმწიფო უფლებას. დადაცნთა უვიცობა უოველივე იმის შესახებ, რაც უფლებრავ ურთიერთობათ შეესება, გასაოცრია. დროა უკვე, რომ რუსეთის დადაცნებმა, რომელთაც ამდენი ხანია მსოფლიო სსკა-და-სსკა მოკალბობაზე ჩასჩინებუენ, შეიგნონ რკორც თავისი, ისე სსკების უფლებები».

== დამაფიქრებელი ცნობები მოაქვთ რუსეთის გაზეთებს წლეკანდელი მოსკოლის შესახებ. რაც დრო გადის, რუსეთის ზოგოერთი ნაწილების მოუსაველობა უტეუარო სდება. ვერ კიდევ გასაფხულზე ქქონდათ შიში, თუმცა კიდევ იმედოვნებენ, რომ შეიძლება გარემოება სასიკეთოთ შეიცვალდეს, მაგრამ ეს იმედები გაცრუვდა. შირველათ სამსრეთ რუსეთიდან გაისმა საჩავარი მოუსაველობის შესახებ. რდენის გაზეთების სიტყვით, სერსონის გუბერნიის ზოგოერთ ადგილებში გლეხებმა ვერ კიდევ მანის დაძლეეს აიღეს უდროვოთ გაყვითლებული შურო საქონლის საგვებავათ. არც დონის მსარეს ეტეობა უმჯობესობა. «სადაღ-შიცემო-სამრეწველო გაზეთის» სიტყვით, «შიში მოუსაველობის შესახებ გამართლდა: უოველგან გვალვა ასდენს შურს; ალაგ-ალაგ იგი გათიბეს საქონლისათვის, ალაგ-ალაგ კი ისე წამსდაჩა, რომ ჩალათაც არ გამოდგება.» ივინისი შირველ რიცხვებში, რკორც იწუება გაზ. «შრიდნერ. გრია», ეკატრინოსლავის გუბერნატორმა, გასსნა რა ვუბერნიის არჩვეულებრივი საერობო ვრება, განაცხადა, რომ გუბერნიის სსკა-და-სსკა ადგილებიდან მოსკოლის შესახებ ძლიერ სამწუნარო ცნობები მიდებელია, ასე რომ გუბერნატორის სიტყვით, «წელს არათუ წინ წაიწეეს სალხის კეთილდღეობა, არამედ იგი კიდევ უფრო დაქვეითდებაო». ასეთივე ცნობები მოდის ამ უძათ შეავულ და ვოლგის რაიონის გუბერნიებიდანაც. შესხის და ტამბოვის გუბერნიებიდან ფინანსთა სამინისტროს რეფინანსურ გაზეთში სწერენ, რომ გვალვამ სრულიად გააჭრო იმედი ვარგ მოსაველყო. სარატოვის და სამარის გუბერნიებიდან გაზ. «ნიუ. ლისტ.»-ს წერდენ ამას წინეთ, რომ გვალვა თუ ერთი კვირა კიდევ გავრძელდა, მდინარე ვოლგის მთელი რაიონი უშუროთ დაჩნებოა. უეულა ცნობებს, რასაკვირველია, ვერ ჩამოუვლით. შეგვიძლია ამას მივუმატოთ კიდევ ის, რომ მდინარე ვისლის რაიონის მოუსაველობა ექვს გარეშა («Русск. Вѣд.»).

== ეივეიდან შემდეგ შემამრწუნებულ ამბავს იწუებიან: «აქ შეიპურეს რიი მოხუცი მათხოვარი; მათ თან უავლათ რიი 11 წლის ბავშვი, რომლებიც იმათ მოუნარავოთ და დაუსახინებობათ: ერთს მოჭრილი აქვს ენა და გამოთსრილი აქვს თვა-





ლი, მეორეს ამოგდებული აქვს სელი და ფესი. ბავშვების სიტყვით, მესამე იმითი ამხანაგი დასახინების დროს მომკვდარა.

== მკვევის ცნობილ ფოლადის საკადში ასალი სექტა აღმოუჩინათ, რომელსაც კვუთინან მუშეა. ამ ასალი სექტის მიმდევარნი უარყოფენ ჰინჯუკის წყრას, რადგან ამას ღმერთი არა თსოულაბს, მათი აზრით; უარყოფენ სატებს, არ სწამთ მათი სიწმიდე; უარყოფენ ავრუოვე კველისას და ზიანების საიდუმლოს. სულ რამდენიმე კვირას, რაც სწავლა მიუღიათ ზოგერთ მუშებს, მაგრამ იმდენათ მტკიცეთ ადვიან, რომ ადგილობრივმა სამდველოებამ ვერ გადათქვივინა. ასლი ადგილობრივი კონსისტორია გამოძიებას შესდგომია.

== ოდესის ფოტოგრაფებს განუზრანსავთ ფოტოგრაფიებში მომუშავეთა ურთიერთ დამსარებულ საზოგადოების დაარსება. როგორც ვიცით, ოდესში ბევრი ფოტოგრაფია და რამდენიმე ასი მათში მომუშავე, რომელთა მდგომარეობა მეტათ ცუდად როგორც ჰიგეინის, ისე მატერიალურა მსრვი. ასალი საზოგადოების მიზანი იქნება დასმარება გაუწიოს ავთ-მეოფ და გაჭინვებულ წევრებს; შეეწიოს დაობლებულ ოჯახებს და სხვ.

== გზათა სამინისტროში იჩიევა ამ უამათ სავითნი, მიერეს საშეალება დაშავებულ და დასახინებულ მუშათა და მოსკელთ, გამორჩინის შემდგავ წესიერი და რიგიანი წამლო ბით ისარებლონ. ამასთან მათთვის სავალდებულა იქნება იქიმონ ნახეენებ სათანადო დაწესებულებებში და სპეციალისტებთან. ამ წესის შემოღებისას სახეში უავთ ისეთები, რომელთაც მუშაობის სასხარი ავლდებათ დასახინებისაგან.

ს ა ზ ღ ვ ა რ უ გ ა რ ე თ.

საზრანგმთი. 21 იენისს (ასალი სტილით) პარიუში მოხდა საფრანკეთის რადიკალური ზარტიის კონგრესი. ეს ზირველათ არის, რომ რადიკალური ზარტია ორგანიზაციას იყებს და კონგრესს ასდენს. ამის აზრი კვუთინის სამ გამორჩინილ პოლიტიკურ მოღვაწეს: ლეონ ბურჟუას, ჰინტი ბრისსონს და რენე გობლეს. 800 მეტი დელეგატები შეიკრიბენ მეცნიერთა საზოგადოების დაარსებში. დელეგატები იყვენ თითქმის ყველა დეპარტამენტებიდან. ისინი წარმოგზავნილნი იყვენ სსვა-და-სსვა საზოგადოებათა და ორგანიზაციათა მიერ. იმათ რიცხვში იყვენ სენატორები, დეპუტატები, მერები, ყურხალ-განკეთების მეთაურნი და სხვ. კონგრესის განსხამდე ორი კვირის წინეთ შემუშავებული იყო სამოქმედო კომიტეტის მიერ (Le comite d'Action) და ავრუთვე კერძო ზირების მიერ მანიფესტი.

როგორც სამოქმედო კომიტეტები, ისე კერძო ზირები თანახმა არიან: შეერთდენ რადიკალები (მემარცხენნი) და რადიკალ-სოციალისტები (უკიდურესი მემარცხენნი); შემუშავებულ იქმნას ასალი პროგრამა; დაწესდეს ისეთი ორგანიზაცია, რომ პროპაგანდა შეუჩერებლათ სდებოდეს, განსაკუთრებით მომავალ სავანობმდებლო არჩევნებისთვის. ზირველ სხდომაზე არჩეულ იქმნა კომისია პროგრამის შესამუშავებლათ. მეორე კრება გაისხნა 22 იენისს ბრისსონის თავმჯდომარეობით, რომელმაც, სსვათა შორის, წარმოსთქვა: «ყველა რესპუბლიკანელისთვის აუცილებელი საჭაროებაა შეერთება კლერიკალიზმთან საბრძოლველათ». შემდეგ კრებას ავრუებს, რომ ამავ დაარსებში რამდენიმე კვირის წინათ გაბედეს კრების მოსდენა ერთი გენერალის და ერთი სამასხურს გარეშე მეოფი ადმირალის თავმჯდომარეობით, რომელიც გათავდა შემდეგი სიტყვებით: «გაუმარჯოს წმიდა ზარტლომესო». ამიტომ სრულებით არ აზივადებენ, როცა დემოკრატიის საშეარ მდგომარეობაზე ლაზარობენო. ამ სხდომაზე კრახმით მიღებულ იქმნა სსვა შორის შემდეგი წინადადება: ზარტიის დაერქვას: რესპუბლიკური რადიკალური და რადიკალურ-სოციალისტური და ყოველ წლივ მოსდეს კონგრესი. მომავალ 1902 წ. კონგრესი დაინიშნა ლიონში.

მეს.მე და უგანსაველი სხდომა მოხდა ბ. ბურჟუას თავმჯდომარეობით, რომელმაც წარმოსთქვა შესანიშნავი მკვერ-მეტველობით სიტყვა. გავიცნა რა ნაციონალიზმი და კლერიკალიზმი, ბურჟუამ შემდეგ განმარტა, თუ რა განსხვავება არსებობს მის ზარტიისა და კოლექტივიზმს შუა. «ვერძო საკუთრება — თქვა მან — ჩემის აზრით, აუცილებელი თავდება ადამიანის თავსარულების, ღირსების და მოქმედებისათვისო, რომ უზარუნველ ვერთ კერძო საკუთრება, ამისთვის საჭიროა რეფორმები. თუ მშრომელს დეტოლებთ უყურადღებოთ და საზოგადოება მას დასმარებას არ აღმოუჩინოს, ის ამბობდება და მალას იმმარსო. ბურჟუა ეძებს სსხას წორილ გაჭრების, მიწის მუშების და მესაკუთრების მკიდრო შეკავშირებაში. მისი აზრით, ყველა ესენი უნდა შეერთდენ და წინააღდეგენ როგორც რეაქციას, ისე რეკოლიუციას. აქედან ამკვრას, თუ რათ არ მიიღეს ამ კონგრესში მონაწილეობა სოციალისტებმა, მაგრამ ის ვი განსაკვირველია, თუ რათ უწოდებენ თავის თავს რადიკალები რადიკალურ-სოციალისტურ ზარტიათ.

ინგლისი. რამდენამე მიტინგმა მთავრობის წინააღმდეგ ბურებთან ომის შესახებ და ტვეე ბურთა მდგომარეობის გამოყვანებამ გავლენა იქონია ინგლისის მთავრობაზე. ბურების ქალები და ბავშვები განთავისუფლებულ იქმნენ იმ ბანაკებიდან, სადაც ინგლისის სარდლებმა ჩამოწვიდეს და სადაც ასიათასობით ავთიმეოფობისაგან ისტებოდენ.

— სმა დადის, ვითომც გერმანიას მოუწადინებია ინგლის-ტრანსკავალის საქმეში ჩარევა, რათა შეარბოს ივინი. ამბობენ, თვით ნგლის მთევე წავის ჩამოგდების მომხრეაო.

ჩინეთი. თემცა ამ უგანსაველ დროს ჩინელები აღარ დასტემიან თავს კერძოებებს, მაგრამ მკამბოხეთა ბრბო მასინ ჩემით კბილებს ილესავს და ეძებს მოსერსებულ დროს. ამას გრძნობენ იჭური მისიონერები და ასლავე აფრთხილებენ კვროზის სასელმწიფოებს თავდაზივის დასაჭერათ. ენასოთ, მომავალი რას გვეტვეის.

ინგლის-ტრანსკავალის ომი. ბურების მთავარ-სარდლებს ურდობაზე კვლავ გადაწვევით ომის განგრძობა. მათივე აზრისაა პრეზიდენტი კრიუგერიც, რომელსაც გამოუთქვამს იმედი, რომ მალე ბურების საქმე გამოიწვევს სსვა სასელწიფოთა შორის მოურიგებელ ვითხვებს.

— ამ ბოლო დროს ტრანსკავალის ომის მოკდანზე თვალსაჩინო არა მამსდარა-რა. როგორც ერთის, ისე მეორე მხრით მოლოთ მანკერსი და შეტაკების თავდარობი არიან.

მინდორში

(მ. გორისა)

...ჩვენ რომ ჰერეკოპიდან გამოვედით, ძალიან ცუდს გუნებაზე ვიყავით — მგლებივით შშიფრები და მთელს მსოფლიოზე გულმოსულები. მთელი თორმეტი საათის განმავლობაში ყოველი ჩენი ნიჭი და ძალია უნაყოფოთ ვინმარეთ მისთვის, რომ მოგვეპარა რამე, ან სამუშაო გვე-





შოენა და ბოლოს, როდესაც დავრწმუნდით, რომ არც ერთი და არც მეორე არ მოგვიხერხდა, გადაწყვიტეთ შორს წავსულიყავით, საი? საზოგადოთ შორს

ეს გადაწყვეტილება იყო ურთხმივი და ერთმანეთთან წარმოთქმული; ჩვენ მზათ ვიყავით გვევლო ცხოვრების იმ ბილიკზე, რომელზედაც დიდა ხანია მივდიოდით — ესეც ყოველ ჩვენთაგანის მიერ ჩუმათ იყო გადაწყვეტილი და თვალს ხმადალო არ წარმოთქმულა, მაგრამ ნათლათ გამოსკვავდა ჩვენ მშაერ თვალთა დაღვრემილ ელვარებაში.

ჩვენ სამი ვიყავით; ჩვენ დიდი ხანი არ იყო რაც ერთმანერთი ხერსონში, დნებარს ნაპარას სამიკიტროში გავიცანით.

ერთი ჩვენთაგანი იყო ჯარის კაცი რკინის გზის ბატალიონისა — ვითომდა გზის ოსტატი ერთ ვისლის მახლობელ ვხებთაგანისა, ქერა და მხვილ კუნთებიანი კაცი, ცივი, ნაცრის ფერი თვალზე თ; მან იცოდა ნემცური ლაპარაკი და ძალიან დაწვრ ლებით ჰქონდა გაცნობილი საპრობილეში ცხოვრება.

ჩვენ გვარ კაცს თავისს წარსულის შესახებ ბევრი ლაპარაკი აო უყვარს; ამის შესახებ მას მუდამ აქვს ცოტათ თუ ბევრათ საფუძვლიანი მიზეზები, — და ამიტომ ყოველი ჩვენგანი ერთმანერთს ვერწმუნებოდით, გარეგნობით მაინც ვერწმუნებოდით, ვინაიდან ყოველ ჩვენგანს თვის გულში რომ ჩაეხედა, თავისს თავსაც ნაკლებ ვერწმუნებოდა, ნაკლებ ენდობოდა.

როდესაც ჩვენი მეორე ამხანაგი, გამხდარი და პატარა კაცუნა, წვრილი, მუდამ ეჭვიანათ მოკუმულის ტუჩებით, გვეტყოდა თავის შესახებ, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში სტუდენტათ ვიყავით — მე და ჯარის კაცი ამას სინამდვილეთ მივიღებდით ხოლმე, ნამდვილათ კი ჩვენთვის სულერთი იყო: იყო ოდესმე ის სტუდენტი, თუ ქურდი, — საყურადღებო მართო ის იყო, რომ ჩვენის გაცნობის ჟამს, ის იყო ჩვენი თანასწორი — სიმშოლს იტანდა, ქალაქებში პოლიციის განსაკუთრებულ მხედველობის ქვეშ იყო, სოფლებში გლეხები ეჭვის თვლით უყურებდენ, სძულდა ერთიკ და მეორეც, უძლოდის, დევნილის და მშვიერი მხეცის სიძულვილით, ოცნებობდა, რომ ოდესმე ყველას და ყოველივეს მრავალ მხრივ ჯავრს იყრიდა. ერთი სიტყვით, ბუნების მეფეთა და ცხოვრების მეფეთა შორის მდგომარეობითაც, თვისი ხასიათ გუნებითაც ჩვენი მსგავსი იყო.

უბედურება — უმთავრესი და უგამძლესი ცემენტია სრულიად სხვა-და-სხვა გვარ არსებათა შესაერთებ-შესაკოწიწებლათაც კი, ჩვენ კი, ყველანი, დარწმუნებულები ვიყავით, რომ უფლება გვქონდა ჩვენი თავი უბედურათ ჩაგვეთვალა.

მესამე მე ვიყავი. თავ-მდაბლობისა გამო, რომელიც ჩემდა კუთვნილებათ შეიქნა ფიფქ ფრჩხილების დროდგანვე, მე ერთს სიტყვასაც არ ვიტყვი ჩემ ღირსებათა და ნაკლულევანებათა შესახებ, ხოლო ჩემ ზნე ხასიათის ასაწერ მასალათ ვიტყვი, რომ ჩემ თავს მუდამ სხვაზე უკეთესათ ვთვლიდი და დღესაც ასე ვარ.

ამ რიგათ ჩვენ გამოვედით პერეკოპიდან და მივდიოდით შორს; ამ დღეს ჩვენ მხედველობაში გვყავდენ მეცხვარეები, რომელთაც მუდამ შეიძლება პური სთხოვო, ვინაიდან ძალიან იშვიათათ ეუბნებიან მგზავრებს უარს!

მე ჯარის კაცის გვერდით მივდიოდი, სტუდენტი ჩვენს უკან მოაბიჯებდა მას მხრებზე რალაც ეკიდა, რომელიც „პიჯაკს“ მოვაგონებდათ; წვეტიან, კუთხიან და ძირში ვაკრეკილ თმიან თავზე განისვენებდა განიცრი ქულის ნაშთი; ნაცრის ფერი შარვალი, სხვა-და-სხვა საკერებლებით აჭრელებული, შემოხვეოდა მისს წვრილს ფეხებს ფეხის გულზე კი, თვისი ტანისამოსის სარჩული საგან დაწულა ბაწრებით, მიეკოსებინა გზაზე ნაპოვნი წალის ყელი, «სანდალებათ» მოენათლა და მიბიჯებდა თავისთვის ნელ ნელა, თან გზაში ბევრ მტვერს აყენებდა და თვის მომწვანო პატარა თვალებს აბრალებდა. ჯარის კაცს ეცვა წითელი ჩითის პერანგი, რომელიც მან «საკუთარის ხელოთ» შეიძინა ხერსონ ში; პერანგს ზვით მას თბილი, ბამბის „ეილეთი“ წამოეცვა; თავზე ეხურა გამოურყვევლის ფერის ჯარას კაცის ქუდი, ჯარის კაცის წესისამებრ, — «მარჯვენა წარბისკენ ბოქკო ჩატეხილი»; ფეხებზე უთანთალებდა განიერა, მეეტლეთა შარვალი; ის იყო ფეხ შიშველი.

მეც ტანთ-ჩაცმული და ფეხ-შიშველი ვიყავი.

ჩვენ მივდიოდით, ჩვენ გარშემო კი გამირულათ გაქიმულიყო მინდორი და, დაფარული ცხელ და მოწმენდილ ზაფხულის ლურჯი ცის გუშბათით, უშველებელ რვეალ შავ სინივით იდო. ნაცრის ფერი, მტვრიანი გზა მას განიერ ზოლებათ სჭრიდა და გვწავდა ფეხებს. ალაგ-ალაგ ჯაგარის მსგავსი ნაწვერალები გვხდებოდენ, რომლებიც საკვირვლათ მიაგავდენ ჯარის კაცის დიდი ხნის მოუპარსავ ლოყებს.

ჯარის კაცი წინ მიდიოდა და ბოხი ხმით მიიმღეროდა:

— ...და წმიდასა აღდგომასა შენსა უუგალობთ და ვა—ქებთ ..

საბატალიონო ეკლესიაში სამსახურის დროს, ის ასრულებდა რალაც დიაკონისებურ მოვალეობას და იცოდა მრავლისაგან უმრავლესი ოხითანნი, ძილის პირნი და კონდაკნი, რომელთა ცოდნითაც ბოროტ-მოქმედებდა ხან-და ხან, როდესაც კი ჩვენ შორის რაიმე მიზეზის გამო ლაპარაკი არ ხერხდებოდა

წინ, ცის ტატობზე იზრდებოდენ რალაც სახეები სუბუქი მოყვანილობისანი და ალერსიანი ფერისანი, ლურჯიდან დაწყებული ვიდრე ღია-ვარდის ფერამდე.

— ეტყობა, ესენია ყირიმის მთები, — სთქვა სტუდენტმა.

— მთები? — შესძახა ჯარის კაცმა, — ძალიან ადრე დაინახე, ძმობილო, შენ ისინი. ეგენი ღრუბლებია... ისე ღრუბლები ხედავ, როკორ არიან — თითქოს რძის შექამალიაო.

მე შევნიშნე, რომ ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, მართლა რომ ეგრე იყვეს-მეთქი. ამ სიტყვებმა ჩვენ უეცრათ შიმშილი აღგვიძრეს.

— ახ, ეშმაკო! — შეიგინა ჯარის კაცმა და თან გააფურჯა. ერთი ცოცხალი არსება მაინც შეგვხდეს! არავინ არა .. როგორც ზამთარში დათვები თავიანთ საკუთარ თათებს სწოვენ ხოლმე, ჩვენც ისე უნდა მოვიქცეთ.

— მე აკი გეუბნებოდით, რომ დასახლებულ ადგილებისკენ გვევლო, — დარიგების კილოთი განაცხადა სტუდენტმა.

— შენ ამბობდი! — აირია ჯარის კაცი — შენ მეცნიერ-





რი იმიტომ ხარ, რომ უნდა ილაპარაკო სადაა აქ დასახლებული ადგილები? ეშაქმა უწყის მათი ბინა!

სტუდენტმა ტუჩბეა მოკვამა და გაჩუმდა. მზე იწვევებოდა და ცის ტატნობზე ღრუბლები თამაშობდნენ და ბრკვეილებდნენ სხვა და-სხვა გვარ ქრელ ფერებით. მიწისა და მარილის სუნი იდგა

კუჭი გვეწოდა. ეს იყო რაღაც უცნაური და უსიამოვნო შეგრძნება: თითქოს სხეულის ყოველი კუნთიდან წვენი ინთხოვდა, ორთქლათ მიდიოდა, და კუნთები კარგავდნენ თავიანთ მოქნილობას. პირი და ხახა მოეცვა რაღაც სიმშლის მჩხვლეტავ შეგრძნებას. თავი გვიბრუვდებოდა, ხოლო თვალთა წინ გვიდგებოდნენ და ციანგობდნენ შავი წერტილები. ხან და-ხან ისინი მიემსგავსებოდნენ ხოლმე საქორწილოთ გამომცხვარ პურს, ან ომხივრით მოცულს ხორცის ნაჭრებს. ამ უტყვე წარსულის მოკონებას მოსდევდა მასდამი კუთვნილი სუნი და მაშინ მუცელში თითქოს რაღაც გჩხვლეტავდა დანასავით.

ჩვენ მაინც მივდიოდით, ერთმანერთს სიტყვებით ვუზიარებდით, რასაცა ვგრძნობდით და თვალვებს აქეთ-იქით ვაცეცებდით—ხომ არსად ჩანს ცხვრის ფარა და ყურს ვუგდებდით—ხომ არ გაიამის თათრის ურმის გულ-შემხარავი ქრიალი, რომელსაც სომეხთა ბაზარში ხილი დააქვს ხოლმე.

მაგრამ მინდორი ცალიერი და უტყვი იყო.

ამ ძნელი ასატანი დღის წინათ სამმა შევქამეთ ოთხი გორვანქა დიკის პური და ხუთიოდე საზამთრო, გავიარეთ კი ორმოც ვერსამდე—გასავალი არ უდრის შემოსავალს! —შემდეგ პერეკაპის საბაზრო მოედანზე დავიძინეთ და მიმშილმაღა გამოგვადვიდა.

სტუდენტი სამართლიანათ გვიჩვენდა, დასაძინებლათ არ დაწვოლილიყავით, არამედ ღამის განმავლობაში გვემეცადინა... მაგრამ რიგიან საზოგადოებაში მიღებული არ არის ხმაღალა ლაპარაკი საკუთრებათა უფლების დარღვევის წინადადების შესახებ, და მეც ვსდუმებარ. მე ვიცი, რომ ამ ჩვენ მალალ-კულტურულ დროს ხალხი თან-და თან სულით რბილი, გულით ჩჩვილი ხდება და, ასე გასინჯეთ, როდესაც თავისს მოყვასს ყაყრანტოში ტაცებენ ხელს და ცხადათ ეტყობათ, რომ მათი დახარობა მსურთ — სცდილობენ ეს ჩაიღინონ რაც შეიძლება სიყვარულიანათ და თან, რაც კი ამ შემთხვევაში საჭირო იქნება, ყოველგვარ ზრდილობას ინმარებენ. ჩემი საკუთარი ყანყრატოს გამოცდალება მავალებს მე აღვნიშნო ეს ხასიათთა და ჩვეულებათა გაუმჯობესება და მე მრწამს დავამტკიცებ, რომ ამ ქვეყნათ ყოველივე ფართოდება, უმჯობესდება. კერძოთ ეს შესანიშნავი წინსვლა ნათლათ მტკიცდება იმითი, რომ ყოველ წლივ იზრდება საპრობილეთა, სამიკიტნოთა და ვნებათა დასაკმაყოფილებელ სახლთა რიცხვი.

ამ რიგათ, ვყლაპავდით რა სიმშლის აღმძვრელ ნერწყვს, ვცდილობდით ერთმანერთთან მეგობრული ბაასით დავგვებო კუჭთა ტკივილი და მივდიოდით უდაბურ და უტყვე მინდორში, მივდიოდით ჩამავალი მზის სხივებით შეწითლებულები და საფენი ვიყავით რაღაც გამოურკვეველი იმედით. ჩვენ თვალთა წინ ჩადიოდა მზე, ნელ-ნელა ეშვებოდა რბილ, მისს სხივებისგანვე ისე გულ-უხვათ შეღებულ ღრუბლებში, ჩვენს უკან კი მტრედის ფერი წყვილი-

დი თან-და-თან ჰფარავდა ცის, ავიწროებდა უალერსო ცის კიდეს, რომელიც ჩვენ გარს გვეხვია.

— აბა, ძმობილო, შეგროვეთ მასალა ცეცხლის ასანთებათ,—სთქვა ჯარის კაცმა, აილო რა გზიდან რაღაც პატარა კუნძი.—მინდორში მოგვიხდება ღამის გათევა... ნამია. რაც კი დაიწოდეს, ყველაფერი აიღეთ.

ჩვენ გავიშალენით გზის სხვა-და-სხვა მხრისკენ და ვიწყეთ ჩინჩხვრის შეგროვება. ყოველ ჯერ, მიწისკენ დახრის დროს, მთელს სხეულში აღგვეძროდა ხოლმე ენებიანი სურვილი, რათა ზედ დავცემულიყავით, ვყოფილიყავით ისე გაუნძრევლათ და გვექამა შავი, მსუქანი მიწა, ბევრი გვექამა, გვექამა სანამ შეგვეძლო და შემდეგ დავგძინებოდა. თუნდ სამუდამოთ დავგძინებოდა, ოღონდ გვექამა, გვედქა და გვეგრძნო, თბილი, სქელი ფაფა როგორ ნელ-ნელა ეშვებოდა პირიდან შემხარ, მოკრუნჩხულ კუჭში, რომელიც მალათ იწოდა იმ სურვილით, რომ რამე შეეისვია.

— რაიმე გვარ ბალახის ძირებს მაინც ვიპოვიდეთ, —ამოიოხრა ჯარის კაცმა.— არიან იმნაირი ძირები, რომლებიც იქმევიან...

შავ ხეულში კი არა გვარი ძირები არ მოიპოვებოდნენ. სამხრეთის ღამე უცბათ ახლოვდებოდა და ჩაქრობა ვერც კი მოასწრეს უკანასკნელმა მზის სხივებმა, რომ მუქლურჯ ცაზე უკვე აელვარდნენ ვარსკვლავები, ჩვენ გარშემო კი უფრო და უფრო უერთდებოდნენ ერთმანერთს ბნელი ჩრდილები და ავიწროებდნენ დაუსრულებელ სივრცეს ჩვენ გარსშემოხვეულ მინდორისას...

— ძმებო, —ნელის ხმით სთქვა „სტუდენტმა“, —იქ, მარცხნივ კაცი წევს...

— კაცი? —ეჭვიანათ შევიკითხა ჯარისკაცი.— რა უნდა მერე იქ რომ წევს?..

— წადი და ჰკითხე. უეჭველია მას პური აქვს, რადგან მინდორში მოუკალათებია... —ახსნა „სტუდენტმა“.

ჯარისკაცმა მიიხედა საითკენაც კაცი იწვა, გააფურთხა და გაბედვით სთქვა:

— წავიდეთ მასთან!

მარტო „სტუდენტის“ მწევანე და გამჭრიახ თვალებს შეეძლო გაერჩია, რომ ჩამავებული ხროვა, რომელიც გზის მარცხნივ ნო საქენის დაშორებით ამართულიყო, კაცი იყო. ჩვენ მივდიოდით მასთან; სწრაფათ ვაბიჯებდით ხეულის ბელტებს და ვგრძნობდით, როგორ გვიორკვევებდა სიმშლისაგან გამოწვეულს ტკივილებს, ჩვენში ჩასახული ჭამის იმედი. ჩვენ უკვე ახლო ვიყავით—კაცი არ იძროდა.

— იქნებ კაცი არ არის... —გამოსთქვა ჯარისკაცმა ჩვენი საერთო ფიქრი.

მაგრამ ჩვენი ეჭვი იმ წამშივე განიბნა, რადგან ხროვა შეინძრა, გაფართოვდა და ჩვენ დაინახეთ, რომ ის — ნამდვილი, ცოცხალი კაცია, რომელიც დაჩოქილიყო და ხელები ჩვენკენ გამოეშვირა.

და ის გვეუბნებოდა ყრუ, მთრთოლვარე ხმით: — არ მოხვადე, —გვესერი!

ამღვრეულ ჰაერში გაისმა მოკლე ტკატუნნი. ჩვენ ყველანი ერთათ შევჩერდით და რაძდენიმე წუთს ჩუმათ ვიყავით, ჰკუაზე ვერ მოვსულიყავით ამგვარ უსიყვარულო დახვედრით.

— აი, საძაგელი! —კარგის გამოთქმით წაიღუდუნა ჯარისკაცმა.





— ჰმ... — დაეიქრებოთ სთქვა «სტუდენტმა». — რე-  
ვოლუციონით დადონ, ეტყობა ჯიბეში ბლომათ უქყაყის.

— ჰვი! — შეჰყვირა ჯარისკაცმა, ეტყობოდა, რომ რა-  
ღაც გადაწყვიტა.

კაცი გაუნძრევლათ იღვა და სდუმდა.

— ჰვი, შენ! ჩვენ შენ ხეოს არ განღებოთ... მხოლოთ  
პური მოგვეცი... უეჭველია, გექება! მოგვეცი, ძეგო, ქრის-  
ტეს გულისთვის!... იყავ შეჩვენებულ და დაწყველილ!

ეს უკანასკნელი სიტყვები ჯარისკაცმა თავისთვის  
ულვაშებში ჩაიღაპარა.

კაცი სდუმდა.

ი. ევლავილი.

(დასასრული იქნება).

ს ა ლ ა მ ო .

არ დაეივიწყებ მე იმ საღამოს,  
მარად სანატრელს, მარად საამოს,  
დეე ყოველ ჟამს მის მოგონებით  
შეგებისა ცრემლმა თვალი დანამოს!

გახსოვს, ბუმბერაზს ორი მთის შუა

ბინდს ვადეშალა შავი კალთები  
და ვით აჩრდილნი, მღუმარე სახით  
მოჩანდენ მათი ქედთა ნაკეთები.

ძირს, ბორცვთა შორის სამშობლო მტკვარი

დინჯათ, ამაყათ იზღაზნებოდა

და ღამის სიო ბუმბერაზ-ყვავილებს

ზურმუხტ ცვარებათ ეპყურებოდა.

მთვარე არ ჩანდა, მხოლოთ ვარსკვლავნი

ღრუბლებში მკრთალათ ბჟუტავდენ, კრთოდენ

და დედამიწას გულ-ჩათხრობილსა

გაუბედავთ სხივებს ესროდენ!

ამ მშვიდ საღამოს მხოლოთ ნიათი

არ ისვენებდა, არა დგებოდა,

ჩან მტკვარს ჩურჩულით დაჰკრავდა ფრთებსა,

ჩან მთებისაკენ ეშურებოდა!

და მაშინ ტყეცა ჩაშავებულთ

მას ბანს აძლევდა ფოთოლთ შრიალით,

მხოლოთ მთანი კი კვლავ იდგენ უხმოთ

გულ-ჩათხრობილნი, სვედის ფიალით.

ოხ, გულის ტოლო, არ დაეივიწყებ

მე ამ საღამოს, ტკბილს კაეშანსა,

ცასა წავგარანილს, მთებს ბუმბერაზებს,

დინჯ მოსაუბრე სამშობლო მტკვარსა!

და შენსა აჩრდილს, ფიქრით აღგზნებულს,

მორთოლვარე სახეს, მორთოლვარე მკერდსა,

გრძობას — ცეცხლის ალს გონების დამწველს

და გულის მწარე ამონაკენესა!

ამ დროს ჩვენ ერთათ ვისხედით მტკვრის პირს,

აქ გამოვშორდით ქალაქს მშფოთვარეს,

გამოვექცით ზღვას აღგზნებულსა

და გამოვშორდით მის არე-მარეს.

აქ არ გვესმოდა მონების კენესა

და ბატონების მათრახთა ქნევა,

ველარ ვხედავდით ბრძოლის მოედანს,

სადაც მაშვრალთა ოფლი ინთქმება.

ველარ ვხედავდით დანგრეულ ტაძარს,

ველარ ვხედავდით დანგრეულ ტაძარს,

მაზე აღმართულს არშინს და სასწორს,  
გრძობას, გონებას და აღმინას

ფულზე გასაყიძს, ფულზე ასაწონს!

მაგრამ, ძვირფასო, ჩვენ თან გამოგვეყა

მათი აჩრდ ლი გულს ჩანაკეთული

და ამ საღამოს კაეშანის აღმძვრელს

გადაგვეშალა ორივეს წყლული.

მოვიგონე ვით ჩვენ ამ წყვილადში

მსხვერპლნი, ზნარაქნი განთიადისა,

თითქოს ვარსკვლავნიც ამ მწუხარ ღამეს

იყენენ მთხრობელნი მათის ამბისა!

მოვიგონე ვით, და მოგონებამ

მწარე ფიქრებში წაიღო გული;

მხოლოთ ცრემლითლა დავაღვლე მსხვერპლნი...

მხოლოთ ცრემლითლა ვიუხეთ წყლული!

და რა ბუნებაც გულ-ჩახვეული

ჩვენებრივ იყო სახე მწუხარე,

მათ ეძლეოდა შვება კაეშანს,

რომ ხმა შეეწყო მას მგლოვიარე!

არ დაეივიწყებ მე იმ საღამოს,

მარად სანატრელს, მარად საამოს,

დეე ყოველ ჟამს მის მოგონებით

შეგებისა ცრემლმა თვალი დანამოს!

ი. ევლავილი-


როგორც ჰქუხს, ისე არა წვიძს.

(შემდეგი. — იხ. № 25).

ჰეკელი თავის «ენციკლოპედიაში» ამბობს, რომ სიყმა-  
წვიძეს თვისებათ აქვს განუქნებელ სიყვარში ტრიალი, ხოლო  
გამოცდილ კაცს კარ იტაცებს აბსტრაქტული (განუქნებითი) ან-  
ან (Entweder-oder) და ეძიებს კონკრეტულს (სამდვილს)  
ნიადაგს. ადვილათ შეიძლება ჩვენსიშუკვის ეს სიტყვები ჰქონ-  
და სდასეში, როცა ჰეკელის სინამდვილესადმი მეტ ყურადღება-  
ზე დაზარაობდა; მაგრამ უოკელ შემთხვევაში ის მართალი  
იყო და შეეძლო ვადევ მეტი ეთქვა: მას შეეძლო სრული უფ-  
ლებით ემტყინებოდა, რომ ჰეკელის ფილოსოფიას, იმის გამო,  
რომ მეტი ყურადღება მიაზურა სინამდვილეს, დიდი, დღემდე  
არა სანამრისათ დაფასებელი, გავლენა ჰქონდა მე-XIX საუ-  
კუნის საზოგადოებრივ აზროვნების განვითარებაზე, და რომ  
მომეტყულებათ მისი შემწეობით მისგან ამ საუკუნის მოაზ-  
რენი აბსტრაქტულ ან-ან-ის უვარგისობას.

ჩვენსიშუკვი სსინის ჰეკელის აზრს ომის მაგალითით,  
ის კითხვლებს: «დამღუპულად, თუ მარტულები ომი? ამაზე  
განაწილებლათ ზასუნის მიცემა არ შეიძლება: საჭიროა ვი-  
ცრადეთ რომელ ომზეა დაზარაობა, უკვლავური დამოკიდებულება  
გარემოებათა, დროზე და ადგილზე... მართონის ომი ერთი  
განამდებნიერებლათაგანი იყო კაცობრიობის ისტორიაში. ვადევ  
მაგალითი, — წვიძა: სასარგებლოა თუ მანებელი წვიძა? ეს კი-  
თხუა განუქნებელია, აბსტრაქტულია, გადაჭრილათ მასზე ზა-  
სუნის მიცემა შეუძლებელია: წვიძას ზოგჯერ სარგებლობა მო-  
აქვს, ზოგჯერ, თუმცა იშვიათათ, ზარალი; უნდა გარკვეულთ  
იკითხოს: მას შეეძევ, რაკი ჰურის თესვა მოჩნა, სუთი სა-  
თის განმავლობაში ძლიერი წვიძა მოდიოდა, — სასარგებლო  
იყო ის ჰურისათვის? მხოლოთ აქ აქვს ზასუნის აზრი და ფი-  
ცნადია: ეს წვიძა სასარგებლო იყო».





ვინც განუხებულათ მსჯელობს, იგი მსჯელობს განუ-  
ნებელი ფორმულით ან-ან (Entweder-oder): წვიმა ან სა-  
საჩუქრლოა ან მანებელი, რა ან დამღუპველია ან მარტო-  
ლი. სოლო ვინც კი ჭკვიანის რჩევისამებრ კონტრეტულ ნი-  
აღაგს ეძებს, ის ჩუნიშეკისებურათ ივითსავს, რომელი წვი-  
მა გაქვს სასუში, რომელ რამე ლაზარაჲ? პირველ შესდგოთ  
საკვით მიიხვეთ ისეთ პირთა აწსებობას, რომელნიც გან-  
უხებულ ფორმულით ან-ანით (რა ან დამღუპველია ან მარ-  
ტოლი) მსჯელობდეს, მაგრამ ნამდვილათ კი ასეთი პირები  
დღემდეც ძალიან ბევრნი არიან<sup>1)</sup> და ჭკვიანად სომ კიდევ  
მეტე იყო. განუხებელი შესდგება ან-ან არა მარტო «სი-  
უმაწვილის» თვისებას. შეკვილია დავასხვლოთ ისეთი შესა-  
ნიშნავი ისტორიული ეპოქები, როცა ყველა მოაზრები, გარ-  
და უმცირესობისა, ამ თვალთა სედვის წერტილზე იდგენ და  
ძალიანაც გაუკვირდებოდათ მათთვის რომ ეთქვათ, რომ ის  
უგარგინია. ასე იყო, მაგალითათ, მეთრამეტე საუკუნის სა-  
ფრანგეთში.

ამ საუკუნის საფრანგეთის განმანათლებლები საზოგა-  
დობრივ ცხოვრებას უფერებდენ, როგორც განუხებულ მძინო-  
დაპირობას კეთილსა და ბოროტს შორის, გონებასა და  
უაზრობას შორის და თავს ანებებდენ ამ შესდგელებას მხო-  
ლოთ უკიდურეს შემთხვევებში. რაკი ერთსევე აღაარებდენ  
ამა თუ იმ საზოგადობრივ მოვლენას—მაგალითათ, ფეოდა-  
ლურ საკუთრებას—მანებელ და უკუურ ძოვლენათ, ვერაფ-  
რით ვერ დაჯერებდი მათ, რომ შორეულ წარსულში ის შე-  
სამდებელი იყო გონივრული უფიცილიყო. აი ერთი მრავალ-  
თავისი მაგალითი. გელგინი სორენთას მიწაზე წერილში  
ამბობს მონტესკიეს შესანიშნავ თხზულების „Esprit des  
lois“-ის შესახებ: „მაგრამ რა უნდა გვასწავლოს მან მისი  
ტრაქტატით ფეოდალურ დაწესებულებებს? რა ბრძენი და გო-  
ნიერი კაცის საქმეა ასეთი საგნების რა განმარტებლობა იყო  
შესამდებელი იმ ბარბაროსულ დროს, როცა გამეფებული იყო  
ძალ-მომტრობა და უმეტრება, რომელნიც სელს უმდიდრეს სა-  
მართლასი წეს-რიგის დამყარების ყოველგვარ ცდას<sup>2)</sup>.  
მოკრე აღაგას იგივე გელგინი ამბობს: «მონტესკიე მეტის-  
მეტე ფეოდალისტია, სოლო ფეოდალური მთავრობა სასუ-  
ელის chef-d'oeuvre-ია»<sup>3)</sup>. ჩვენ ასლს სულ სსვგვარათ ვუ-  
უურებთ ფეოდალიზმს, ჩვენ გვესმის, რომ თავის დროზე ის  
სრულბითაც სისულელე არ უფიცილა<sup>4)</sup>. მაგრამ სწორეთ ასე  
იმიტომ ვუუურებთ, რომ ვიცით, თუ როგორ ყველაფერი და-  
მოკვირდებოდა დროისა და ადგილის განმარტებებს და რამდენ-  
ნათ განურჩევლებელია ვითომ-და ის ჭეშმარიტებისა, სადა-

1) მაგალი.: ლ. ტოლსტოი, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა,  
რომ რაი მუდამ და უეჭველათ დამღუპველია.  
2) Oeuvres complètes, Paris, 1818, t. III, p. 266.  
3) Ibid. p. 314.  
4) ფიუსტელ-დეკულანე შენიერთ ხსნის, როგორ იცვლე-  
ბოდა მდამო წოდებათა დამოკიდებულება ფეოდალურ ბატონობათან  
დროთა გარემოების მიხედვით. «ექვსი საუკუნის შემდეგ—ამბობს იგი—  
ხალხი ზიზღით შეუურებდა მებატონეთა ცინე-კოშებს. იმ დროს, რო-  
ცა ამ ცინე-კოშებს აშენებდენ, ხალხი მათ სიყვარულით და პატივის-  
ცემით უუურებდა. ეს შენობები იმის წინააღმდეგე კი არ იყო გაყოფი-  
ბული, არამედ მის სასარგებლოთ. ისინი იყვენ ის ადგილი, სადაც  
მისი დამცველი ცხოვრობდა და მტერს დარაჯობდა. ისინი შეადგენ-  
დენ საიმედო ადგილს იმის მოსაულისას და იმის ქონებისას. თითო-  
ეული ცინე-კოშე იყო თავისი კანტონის დამცველი ადგილი. Fus-  
tel-de-Coulonges. Histoire des Institutions politiques de l'An-  
cienne France, t. VI, pp. 682-683.

მდინაც მიუყვართ განუხებულ ან-ან: რაი ან დამღუპვე-  
ლია, ან გამაბედნიერებელი, ფეოდალიზმი ან გონივრულია  
ან სისულელი. გელგინი კი ეს არ იცოდა; ის თავის თა-  
ნამდროვითა დიდი უმრავლესობის მსგავსათ, ადგა განუხე-  
ბულ შესდგელებას.

აიღეთ ასლს სოციალიზმის ისტორია. ჯერ კიდევ მე-XIX  
საუკუნის დასაწყისში იყვენ ისეთი სოციალისტური მწერლე-  
ბი, რომლებიც ეწინააღმდეგებოდენ განუხებულ მსჯელობას.  
შემდგომ ამ მხრით მეტათ საინტერესო ციტატები ამომწერა  
სენ-სიმონისა და მის მიმდევართა თხზულებებიდან. მაგრამ  
მათთვისაც ეს განუხებული ან-ან შეადგენს მხოლოთ გა-  
მონავლს და არა საზოგადო განონს. იმ დროის სოციალის-  
ტებსაც სმირათ მეთრამეტე საუკუნისა და ნანადედევი განუხე-  
ბული შესდგელებანი უფრო ეხერხებოდათ. ამ შესდგელებით  
სელმძვანელობდენ ისინი თავის დროის საყურადღებო პრაქ-  
ტიკულ ვითსავათა გარკვევაში. სწორეთ ამიტომაც, და არა სსვა  
მიზეზით, ჩვენ მათ უტოპისტებს ვეძახათ. ამ უტოპისტთა  
სსვა-და-სსვა სვლები (მომღერების) საზოგადობრივი წო-  
ბილების სულ სსვა-და-სსვა გვეძახს იმელოდენ, მაგრამ, მიუ-  
ხედავთ იმისა, რომ ეს გვეძახს ძალიან განსსვავდებიან ერთი  
მეორისაგან, ერთ რამეში ძაინც ერთდებოდენ: ეს ერთი რამ  
ის იყო, რომ თითოეულ მათგანს საფუძვლათ ედო უკმა ცნო-  
ბილი შესდგელება ადამიანის ბუნებაზე<sup>5)</sup>. ადამიანის ბუნება  
იყო ის უძაღვსი ინსტანცია სოციალისტებისათვის, რომ-  
ელსაც ისინი მიმართავდენ ხოლმე საზოგადობრივი წობი-  
ლების სადაო ვითსკების შესახებ. რადგან ადამიანის ბუნება  
უცვლელათ მანდალათ იმ დროის სოციალისტებს, ცხადია,  
უხდა ეფიქრათ, რომ საზოგადობრივი წობილების ბეგრ შე-  
სამდობელ სისტემებს შორის იხსება ისეთი, რომელიც და-  
ძაინის ბუნებას უფრო შეესაბამება, ვინემ სხვა დანარჩენები.  
ჩვენ წარმოადგა მისწავლება ამ საუკეთესოს საპოვნელათ,  
ე. ი. ისეთი სისტემის, რომელიც ადამიანის ბუნებას უფრო  
შესაბამება. თითოეული სვლის დამაარსებელი ფიქრობდა,  
რომ მან აღმოაჩინა ასეთი სისტემა. თითოეული სვლის  
(მომღერების) დამაარსებელი გავჯდდა თავის უტოპიას. მაგ-  
რამ შესამდომათ თუ არა ვიზოვოთ საზოგადოებრივი წობილე-  
ბის საუკეთესო სისტემა! არა, ეს შეუძლებელია. ჯერ კიდევ  
მეთრამეტე საუკუნის განმანათლებლებს ესძოდათ, რომ ადა-  
ძაინის ხასიათი (ბუნება) იცვლება იმის დაკვარათ, როგორც  
იცვლება მისი (ადამიანის) გარემოცულბა. «l'homme est  
tout éducation» — ამბობს გელგინი. ამ შემთხვევაში მე-  
თრამეტე საუკუნის განმანათლებლები სრულად მართალი  
იყვენ. მართლაც, ძველი დროის პერსიელის ან ეკვიპტელის  
«ბუნება» არაფრით ჭკავდა ძველი დროისვე ბერძნის ან რომ-  
აელის «ბუნებას», სოლო ძველი დროის ბერძნისა ან რომა-  
ელის «ბუნება» სრულბით არაფერში არ ემსგავსება თანამე-  
დროვე ინგლისელის ან ჩადილო-ამერიკის შერბებულ შტა-

5) კონსიდერანის აზრით, „ზოგადი სოციალური კითხვა“ (le  
problème social général) ასე უნდა დაყენებულ იქნას: «წარმო-  
ვიდგინოთ, რომ ჩვენ გვყავს ადამიანი თავისი მოთხოვნილებებით, თა-  
ვისი გემოვნებით, თავისი მიდრეკილებებით, უნდა განსაზღვრულ იქნას  
სოციალური წეს წობილების პირობები, საუკეთესო შესაფერი მის  
ბუნებასთან. (Destinée sociale, 3-me édition, t. I, p. 332). თა-  
ნანამათ ამისა დეზამი ამბობს: „ჩემი კრიტიკიუმი, ჩემი რწმენის კანო-  
ნი, ეს ადამიანის ორგანიზმის ცოდნაა, ე. ი. გაცნობა ადამიანის მო-  
თხოვნილებათა, მის ნიჭთა და მის ვნებათა (Le Code de la com-  
munauté, Paris, 1842, p. 9). შემდგომ ურიცხვი ასეთი მაგალი-  
თები მომყვანა.





ტების მოქალაქის «ბუნებას». წარმოვიდგინოთ თუნდა, რომ ესა თუ ის სისტემა სრულად ესაბამება ადამიანის ბუნებას, ხოლო ყველა დანარჩენი სისტემები კი მეტათ თუ ნაკლებათ მალას სმარობენ ამ ბუნებაზე, ამით ჩვენ ვამბობთ, რომ ადამიანის ბუნებას არ ესაბამება მთელი ისტორია, ვადა იმ (წარსულს, აწმყოსი და მომავლს) დროისა, რომელსაც ჩვენ ვაკუთვებთ ჩვენ მიერ შეუკრებულ სისტემას. მაგრამ ისტორიაზე ასეთი შესჯელება უკარგავს მას ყოველგვარ მეცნიერულ ახსნას. ამიტომაც არის, ვამბობთ, რომ ჩვენ მიერ დასახელებულ სოციალისტურ წყნალობას სისტემები მეცნიერული არ იყო. მაგრამ ეს, რასაკვირველია, სრულად არ გვაბზმაკებს და ცხადათ ვსჯდავთ მათში ისეთ ცალკე აზრებს, რომელნიც დიდ განმს შეადგენენ მეცნიერებისათვის. უკოპიურ სისტემათა მომკონნი იდეენ განყენებულ ან-ან-ზე და არა კონკრეტულ ნიადაგზე; მათ იმ დროს ვიდეკ არ ესმოდათ, რომ განყენებული ჭეშმარიტება არ არსებობს, რომ ჭეშმარიტება მედამ კონკრეტულია, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველაფერი დამოკიდებულია ადგილისა და დროის განკრებებზე.

ჩვენ რომ მოკლეთ განსასჯელოთ მარქსისა და ენგელსის ღვაწლი საზოგადოებრივ მეცნიერებაში, ვიტყოდით, რომ მათმა მოძღვრებამ მომაკდინებელი ისარი ჩაასო უტოპიზმს. მართლაც, მარქსი ადამიანის ბუნებაში აღარ ეძიებს ახსნას. ის არ სცნობს ისეთ საზოგადოებრივ დაწესებულებას, რომელიც ან ესაბამება ამ ბუნებას ან არ ესაბამება. მის «Misère de la philosophie»-ში ჩვენ ვსჯდებით შესანიშნავს და დამახასიათებელ სუეგელურს ზრდონისადმი: «ბ. ზრდონმა არ იცის, რომ მთელი ისტორია ადამიანის ბუნების განუწყვეტლივი ცვალებადობაა<sup>6)</sup>. «კაპიტალიში» მარქსი ამბობს, რომ ადამიანი ცვლის რა თვისი მოქმედებით განკრებულს, ამით ცვლი ის თავის საკუთარ ბუნებას<sup>7)</sup>. ავილოთ თუნდა საწარმოვო საშუალებათა კრძო საკუთრება. უტოპისტები ბეგონს წკრდენ და ბეგონს დაკობდენ ერთმანეთში და ეგონამისტებთან იმ კი სვის შესასკებ, უნდა არსებობდენ თუ არა ეს საკუთრება, ე. ი. ესაბამება ის ადამიანის ბუნებას თუ არა. თითოეული უტოპისტი არჩედა ამ კითხვას განყენებული ან-ან-ის შესჯელებით. მარქსმა კი იგი ზირდაზირ კონკრეტულ ნიადაგზე დააყენა. მისი მოძღვრების თანახმათ, საკუთრებთათა ფორმები და ქონებრივი ურთიერთობანი ირკვევიან მაწარმოებელ ძალთა განვითარებით. ამ ძალთა განვითარების ერთ საფესურს ესაბამება (ეთანხმება) საკუთრების ერთი ფორმა; მეორეს—მეორე, ხოლო აბსოლიუტურათ (გადაჭრილათ) აქ რისამე გადაწყვეტა შეუძლებელია, რადგან აბსოლიუტურათ გადაწყვეტა იქნებოდა განყენებული, ხოლო განყენებული ქეშმარიტება კი არ არსებობს, ქეშმარიტება მუდამ კონკრეტულია და ყველაფერი დამოკიდებულია ადგილისა და დროის გარემოებებზე.

ვინც ასეთი შესჯელებისაა. ის, ადგილი წარმოსადგენია, უარყოფს საუკეთესო წეს-წყობილების გამონახვის ყოველგვარ ცდას. ამა თუ იმ დროში საუკეთესო საზოგადოებრივი სასტემა არის ის, რომელიც ესაბამება საზოგადოებრივ მარქსისტულ ძალთა მდგომარეობას. ხოლო ამა თუ იმ დროს უკარგის სისტემათ უნდა ჩათვალოს ის, რომელიც ყველაზე უფრო ხელს უშლის ამ ძალთა ვადეკ მეტ განვითარებას. ის

საზოგადოებრივი სისტემა (წყობილება), რომელიც სრული განიერული იყო ასისა ან რჩასი წლის წინათ, სრულად უადგილო იქნებოდა ახლანდელ დროში.

სწორეთ ეს უტოპიათა უარყოფა შეადგენს მარქსის საზოგადოებრივი განვითარების თეორიის იმ თვისებას. რომელიც სრულს უფლებას აძლევს ეწოდოს მას მეცნიერული თეორია. რასაკვირველია, არც მეცნიერული თეორიება შეუცდომელია. მარქსიც შეიძლება შემცდარიყო, როგორც ადამიანი. მაგრამ საქმი იმაშია, რომ მარქსი დაადგა იმ კონკრეტულ ნიადაგს, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდა საგნის მეცნიერულათ განკვირვა. ე. ი. გაჩნდის საგანი ისე, როგორც მასში მომქმედ პროცესთა კანონიერი შეთანხმება მოითხოვს; მეოთხეადეკ საკუთრის განმანათლებლები და ყველა საკუთრათა უკოპისტები კი საზოგადოებრივ მოკლენებს უყრებდენ განყენებულის (და ამიტომაც არა მეცნიერულის) ან-ან, რაც შეუძლებლათ ხდის კონკრეტულ ქეშმარიტების ზოგნას და რაც დიდ აღაგს უთმობს მხოლოთ ისეთ გადაწყვირებას, რომელსაც ჩასძახის სუბიექტიური სიმძატირა ან ანტიმძატირა.

მაგრამ თუ მარქსმა მომაკდინებელი ისარი ჩაურჭო გულში უტოპიზმს, ეს სწორეთ იმ მეთოდის მეოხებით, რომლითაც მან ისარგებლა ჰეგელისაგან და რომელსაც ისეთის ქებით იხსენიებს ჩერნიშევსკი. ჰეგელის მეთოდი ვარგია მით, რომ ის შესაძლებელათ ხდის ვკრდი აურრო საგანზე განყენებულათ მსჯელობას და ითხოვს დათასო (გაჩნდია) ის დროისა და ადგილის განკრებათა მისჯელოთ.

ყველა ზემოთ თქმულის შემდეგ ცხადია, თუ რატომ თანაურკრძობენ გარცენისა და ჩერნიშევსკის მსგავსი პროკრესისტები ჰეგელის თეოლოსოფიას. ეს თეოლოსოფია ამბობდა, რომ უნდა კონკრეტულ ნიადაგზე იდეკ და არჩედეკ საგანს დროისა და ადგილის განკრებათა მისჯელოთ. მაგრამ ეს განკრებანი იცვლებიან. ამიტომაც ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება, როგორც ამბობდა ძველი დროის შესანიშნავი დიალექტიკი—ჰერაკლიტი. არც ბუნებაში, არც საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არც ხალსთა შექმარებაში არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი რამ. რაც ურკვალაი რხებოდა. ამნაჩათ, უმოძრაობას ეცლება ფეხ ქვეშ ყოველნაირი თეორეტიული ნიადაგი და ყველაფერ არსებულის ძირითად ვანონათ ხდება მედმივი მომრიაობა.

ეს შეგნივრათ ვამოთქვა იმაკი. ე. ჩერნიშევსკიმ: «ფორმათა მედმივი ცვლა, ფორმათა მედმივი უარყოფა, წარმოშობილთა ამა თუ იმ შინაჩსით ან მისწრაფებით, ამავე მისწრაფების გამკვირებისა გამო, ამავე შინაჩსის განვითარებისა გამო,—შესძას მან თავის წკრდში «ფილოსოფიულ წინასწარ რწმენათა კრიტიკა საერთო მიწათმფლობელობის წინააღმდეგ»—ოჰ! რა სიმშვიდით მოუწოდებს იმ შემთხვევებს, რომელთაც სსჯები უფრთხიან, ვისაც კი შეუგნია ეს დიდებული, მედმივი, საყოველთაო განონი, ვისაც კი შეუთანხმება ის ყოველგვარ მოკლენასთან, იმეორებს რა ზოკტთან ერთათ:

Jeh hab' mein Sach auf Nichts gestellt  
Und mir gehört die ganze welt,  
იგი არ ნახობს არაფერზე, რასაც თვისი დრო მოუკამია და ამბობს: «დეკ მოხდეკ რაც მოხდება, ხოლო ბედნიერი დდეკ კი ჩვენს ქეჩსაც დაუდგება!»

და აი ამ პროგრესის აღგებობას (მეორე ჩვენს პროკრესისტის სიტყვით) ბედვენ უწოდონ რეაქციის თეოლოსოფია, ბედვენ ეს საბრალონი, მოკლებულნი ყოველგვარ თეოლოსო-

<sup>6)</sup> Misère de la philosophie, nouvelle édition, Paris, 1896, p. 204.  
<sup>7)</sup> Das Kapital, III Auflage, pp. 155—156.



ფიურ განათლებას, ეს საცოდანია, რომელთაც ჭკველის თხუ-  
ლებათა ერთი გვერდიც კი არ წაუგითხავთ და, ვინ იცის,  
იქნება შიშინდნაც არ უხილავთ მისი თხულებანი! უმეტესად  
მუდამ იყო თავხედი, გულ-ზეკვი და ტრახანა, მაგრამ ამ შემ-  
თხვევაში ის თავხედობის და ტრახანობის უფლებგარ სა-  
ზღვარს გადადგა იმ მისწრაფებაში, რომ «კრიტიკა გაუგე-  
თოს» მისთვის სრულიად უცნობ საგნებს.

ეს ყველა კარგი, — შეიძლება იგივეს რომელიმე მკით-  
ხველმა, — მაგრამ ნუ თუ ჭკველი არასოდეს არ ამანინჯებდა  
ფაქტებს და მათ ნამდვილ ურთიერთობებს თავისი თეორიის  
გასაყვანათ? ნუ თუ უსათუძელად ყველა ის მწარე საყვედური,  
რომელიც გაისმოდა და გაისმის დღესაც ჭკველის შესახებ  
მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში? ანდაზაა, ბოლო უცვლელად  
არ შეიძლება.

ანდაზაც არ სტყუის, მოგიგებთ მე; საყვედურები ჭკვე-  
ლის წინააღმდეგ არ არის უსათუძელი. მართლაც, ჭკველი  
ზოგჯერ თავის სასარგებლოთ იყენებდა ფაქტებს, ძალთ ამხ-  
სურებდა მათ თვის თეორიას, თუმცა არ ვიჭიკობ, მას ამ  
შემთხვევაში ფ. ა. ჯანგუხე მეტი ცოდვა მიუძღოდეს, რომ-  
ელმაც ისე საშინლათ დამანინჯა მატერიალიზმის ისტორია,  
თავის კერეთ წოდებულ კრიტიკული ფილოსოფიის სასარ-  
გებლოთ. ყოველ შემთხვევაში აქ დიალექტიკის არავითარი  
ბრალი არ აქვს. ჭკველი ძალას ატანდა ფაქტებს (როცა კი  
ძალას ატანდა) არა იმის გამო, რომ ის დიალექტიკური მე-  
თოდით ხელმძღვანელობდა, იმ მეთოდით, რომელიც დიდს  
ურჯანდლებს ითხოვდა საგანთა ჭკვენიერ ურთიერთობათა გა-  
სარგებლოთ. ფაქტების გაუგებრობებზე ზოგჯერ ჭკველისათვის  
აუცილებელი სდებოდა იმ იდეალიზმის გამო; რომლითაც  
გაყენებულია მისი ფილოსოფიური სისტემა. ეს რომ გაი-  
გოთ, საჭიროა ვიცოდეთ, რა საქმე სჭირდა ჭკველის ისტო-  
რიის ფილოსოფიას.

დიალექტიკი, ჭკველი, წინააღმდეგ მე-18 საუკუნის გან-  
მანათლებელთა, ისტორიას უყურებდა, როგორც განვითარე-  
ბის პროცესს, რომელიც ხვენ უნდა გვესმოდას, როგორც  
მისი აუცილებლობა: ე. ი. სხვა სიტყვით, როგორც გა-  
ნათათა თანხმობა<sup>8)</sup>. ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე წინ სა-  
ჭიროა ფაქტების გამოკვლევა: „ხვენ უნდა ავიღოთ ისტო-  
რია; — ამბობს ჭკველი, — ისე, როგორც არის, უნდა მოვიჭიკეთ  
ემპირიულად, დავიმყაროთ ცდას, და, სხვათა შორის, არ უნდა  
დავემოწნილოთ იმ სპეციალისტ-ისტორიკოსთა ზეგავლენას, —  
განსაკუთრებით ნემც ისტორიკოსთა, რომელთაც დიდი გე-  
ოლოგიკური მოუხიკებიათ და რომელნიც იმასვე შერბობან,  
რასაც ფილოსოფოსთ უსაყვედურებან, ე. ი. ადგილს აძლე-  
ვენ ისტორიაში «აპრიორულად გამოგონებულ ამბებს»<sup>9)</sup>.  
არ იფიქროთ, რომ ეს მეტად მსჯავრი ჭკველის ურბში  
უბრალო ფრანკები უფილიფოს. არა, ვისაც ურჯანდებით წაუ-  
გითხავს მისი «Vorlesungen über die Philosophie der  
Geschichte», მან იცის, რა სიფრთხილით ეჭვობოდა ის  
მის უფლებში მყოფ ემპირიულ მასალას. ამ «კითხვებში»  
მრავალგან ნახვენება რეალური, არა მოგონილი, მიწერებრივი  
გაუძირი ისტორიულ მოვლენათა. რაც შეეხება მათში გამო-  
თქმულ იმ მოსაზრებებს აღამინთა საზოგადოებების ისტო-

<sup>8)</sup> «Die weltgeschichte ist ein Fortschritt im Bewusst-  
sein der Freiheit,—ein Fortschritt den wir in seiner Noth-  
wendigkeit zu erkennen haben». Philosophie der Geschich-  
te, გამოც. ედ. განსისა, გვ. 22.

<sup>9)</sup> Ibid, p. 13.

რიულ განვითარებაზე, რომ მასზე გავლენა აქვს გეოგრაფი-  
ული მიდამოს, მათი ფიზიკური რეალიზმი კიდეც უფრო  
საინტერესოა. წაიკითხეთ თავი «Geographische Grundlage  
der Weltgeschichte» და შეადარეთ ის მეზნიერების თხუ-  
ლებას «La civilisation et grands fleuves historiques»,  
ან რატველის ცნობილ თხულებას «Anthropogeographie»:  
თქვენ დაინახავთ, რა ხალხს უფილიდა ამ მხრით ჭკველის  
შესჯელებანი თანამედროვე მეცნიერების შესჯელებასთან.

Idem.

(დასასრული იქნება)

ზრესა საფრანგეთში \*).

„ზრესა — ესაა მეოთხე მართველი ძალა სახელმწიფოში“ —  
ასე ამბობდნენ საფრანგეთის ურუნალ-განსიკებზე ჯერ კიდევ რესტა-  
ვრაციის (ძველი წეს-წყობილების ხელახლათ შემოღება) დროს.  
მაგრამ ესაა ეს უფრო იოქმას ვანემ წინეთ. „ზრესა — ეს არის  
უძლიესი მთავრობა სახელმწიფოში“, შეკვიძლავ ვიქვან  
ხვენ, როდესაც გავითკალიწიხეთ რა ძალა და მინიქსელობა  
აქვს დღეს მას საფრანგეთში.

არც ერთს სამინისტროს, არც ერთს საფრანგეთის ზრე-  
ზიდერტს, არც ერთს ასე თუ ასე თვალაჩანო სახელმწიფო  
განს არ შეუძლია შეზნეს თავის ადგილს, თუ უბიკველესით  
თვით ზრესა არ არის მისი მოსწე და მასარხლე. არც ერთს  
ფრანკს, რომელიც გა გაზბედავს და ხელს წაატანს სახელმწი-  
ფო საქმეს, არ ძალუძს შეზნდეს არხეუ ზოზინიანზე თუ ჯერ  
ზრესამ ან სინო იგი ამის ღანსათ და შესფირათ. გავისი-  
ნოთ კანმარ ზერეს სახმოკლე ზრეზიდერტობა. თუმცა იგი  
ურჯანდესობას სმით იქნა ანხეული, მაგრამ მანც ვერ გადაურ-  
ნა განსიკების მიერ გავიცხვას. რაც შეეხება სამინისტროს გა-  
ბიხიტებას დღემს, ამას სოი რიცხვი არ არა აქვს საფრანგეთ-  
ში და ყოველთვის ამის მიზნები იგივე ზრესაა. მაგალითობას-  
თვის შორს ნუ წავალთ და მოვიგონოთ თუნდ დრეიფუსის  
საქმე. ეს იყო სამაგალითო ბრძოლა საფრანგეთის ზრესასა,  
ბრძოლა სიმართლის აღსადგენს. ის, რაც ვერ შესძლეს დრეი-  
ფუსის თავკამოდებულმა შკობრებმა და სამართლისათვის ი. ა. ე-  
განწიბრებმა ზარებში, შესძლო და შესარულა ზრესამ. როდესაც  
შალატამ ერთხმით გადასწევატა არ განხილათ დრეიფუსის საქმე  
ხელშეკრეთ, მხოლოდ რ. მენემამე განსიკობა ანალო სმა შალატის  
წინ აღიდგუ, მაგრამ მათხილავთ მათი მცირე რანსკას ისინი  
ბოლოს გამარჯვებულნი გამოვიდნენ. მათმა გამარჯვებამ საფრან-  
გეთის ბერს გამოჩენალ სახელმწიფო კრებს მოუღო ბოლო.  
რამდენს დაეუფშ და დჩგვან თავისი ვარირა, — ვარირა რომ-  
ელიც, როგორც გეონათ, აშენებელი იყო შეურეკელ ნიდატე.  
რამდენი იქნობამდის საშატო ზარი დავა ძარს, შეტრეკნალი  
და თავ-ლაფ-დასსმელი. ასეფრანგეთის სიმამყეა გენერალური  
შტაბი, რომელიც წინეთე სტეებობდა მომავლად გამარჯვებით,  
თვის აღმოსავლეთის მტერსე — გერმანიასე, იძულებული გა-  
ხდა თავი მოესარა უხმა და უიარალო ზრესის წინაშე. ზოლოკო-  
ნიკმა ანიმ თავი მოიკლა, გენერალი ზელი დარდმა მისხვერ-  
შილი, გენერალი ბუადეფერი და გენერალი მონსა, რომელნიც  
ემწადებოდნენ უძლიესი ადგილების დასაჭირათ, განიდექნენ  
სრულებით სახელმწიფო საქმეებინან, ხოლო «ხელსას გმი-  
რი» მათში ესტრეგაზი დღეს მუშათა თავმსაფრში იმყოფე-  
ბა. დანს ასეთთა საფრანგეთში ძალა ზრესასა. ზრესა — ეს ტე-  
რორია საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეთთვის.

\* ) «Миръ Божій» № 6.





სიღან იქნის ის აზრით მსგ-დონეს? თვით საფრანგეთის ხალხიღან, თვით იმ სახელმწიფოებრივ, სანდო იგი იბრძვის, თვით იმ სახელმწიფოებრივ, სანდო იგი იბრძვის. დღეს თვით უფლ საფრანგეთის ვაჭრის 20,000 და 700,000 მკითხველი ჰქონს; ზოგის მითვისან ერთი მადონი. ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებენ თუ რაოდენად გაძვირდა საფრანგეთის ხალხში გაცემის ვითარება. გაცემის სანდო მკითხველებზე და მოკვლეობა და თუ მის მკითხველები შეიძინა მსახურად მათსავე მკითხველებს ზრდა, მიუხედავ მათ წაღობ და მათი იდეა თვის სასიცოცხლოთ შეისისხლორდა. იმ სახელმწიფოში, რომელშიც საყოველთაო სასწავლო უფლება არსებობს, გაცემის ერთი უმთავრესი ფაქტორია პოლიტიკურ და საზოგადო ცნობების, და ყოველი სახელმწიფო მოღვაწე იმუდობელობა უკლას მის ყური; ვინაიდან გაცემის ფუნქციონირება ეწინაა ის თვის ამომჩვევით ხელს, რომლის წინაშეც იგი უნდა წარსდგეს, რომელს სამსჯავროშია.

დაის, საფრანგეთის პრესა არის ხმა საფრანგეთის ერთია, მაგრამ გარდა ამისა მის სხვა მნიშვნელობაც აქვს. იგი არამც თუ გამომსახურებელი ხალხისა იდუნია, არამედ ხელმძღვანელებს არის მისი. ის უჩინარ თამაშით და უკან დაუსხვლავ ხალხს ამა თუ იმ საზოგადო თუ პოლიტიკურ ფაქტის. უკვე იმ მოკლენის და აწვდის თავის შესრულებას ამა თუ იმ საგანზე და რადგანაც საზოგადოთ მოძრაობელი ხალხი მკითხველებია, თვისი მოუწყვლადობათ საქონლებს ჩაგონებას, სწავლას, ან მისივე პრესისა დიდი გავლენა აქვს, იგი ხელმძღვანელობს ამკარ მკითხველებსთვის.

ასე და ამ გარდა პრესის ერთია მისით ხალხის სუბვიდოს გამომსახურება, მეორე მხრით მისი ხელმძღვანელობა და მსწავლელი ცნობებისა და ამხროთ პრესა არამც თუ თვით ისლავებს მკითხველებს, არამედ მათაც ხალხს ერთმანეთთან. ის არის უხალგაო ხეობა, გამბელობა მის მკითხველთა შორის. ხშირათ, პოლიტიკური თვის კონტრასტში, მეშაქრის დასავლეთ, გლეხი გუბანზე ხელ მოკიდებელი, და მოკიდებელი რამდენიმე დღის საჭლე, ერთია და იმავე წუთის ერთია და იმავე ზრით, სიხარულით თუ სიმწუხრით არის გამოწვეული. რომელსაც ვითსულობებს დღევანდელ პოლიტიკურმა ამხროთ, ან რომელიმე ფაქტორის სიტყვას, რომელიმე საზოგადო საქმის აკვირებობას და სხვ.

ბერი, ძალიან ბერი ტანჯვა და წამება გამოადრს საფრანგეთის პრესამ ვიდრე მოიბრძობდა იგი მის, რაც დღეს მის გუთნობებს შეაღების, ვიდრე იგი გადაიწეობდა სახელმწიფოს იმ დად ფაქტორათ, რომლისაგან მის ჩვენ დღეს ვხვდებით. მეცხრამეტე საუკუნე მისთვის ბრძოლის ქარსგველი იყო. არც ერთის სახელმწიფო ვითარებზე ასე ხშირათ არ გულიდა თავის შესრულებას საფრანგეთის მთავრობას, რომელსც პრესის შესახებ. რასაკვირველია ამ შემთხვევაში, ჩვენ რეკლამიზაციონური ეპოქა არ გვაქვს სხვაში, რომლისც პრესის უსასღვრო თავისუფლება ხშირათ შეცვლუბოდა ხომე ბილიტინის უსასღვრო თავისუფლებით. პრესის სასიტუაციური შევიწროება და დენა დაიწყო რეკლამიზაციის შემდეგ, რომლისც ნამდვილად ბონაპარტი პირველათ იმის აღსარებელია დიქტატორათ ამ შევიწროებას და დენამ გაციანა უკანასკნელ იმპერიის ბოლოდე. რაცხვი გაცემებისა დღე და დღე მცირდება, ხალხი რომელსც ვადე არსებობდნენ, ნათ არა ქონდით უფლება თავისუფლად გამოუთქვით აზრი სახელმწიფო საქმეებზე. გაცემების დასურვა, ვინამა, მწერლების დამატობა—ეს იყო მთავრობის საშუალება პრესის დასავლეთ, მის თავისუფლების მოსახლობათ.

მაგრამ ამ დუსტორ დროში მაინც არ იუკლავნ იმისთანა პირები, რომელსც არ იხევენ უკან და მიუხედავთ მცარ ზომების თამაშით იცავდნ პრესის თავისუფლებას. პირველი, რომელიც გარეშად მთავრობას, იყო ყურნალი «Journal des Debats»-ი წერილი, რომლისთვისაც გაცემის სასამართლოში იქნა მიტოვული, თავადობდა ამ სიტყვებით: «უბედური საფრანგეთი, უბედური გოლოდა!». ასევე თამაშით იბრძოდნ სოციალური და რესპუბლიკანური გაცემბა. ეიულ თებში, ეიულ გრევი, ტიერი, მოხეცი ბერტრი და მრავალი სხვანი უშიშრათ გამოდნ მთავრობის პოლიტიკის პრესის შესახებ. მაგრამ ის წარსული დრონიც რომ არ გაციხსნოთ თვით ამ ხალხი წარსულშიც ხშირათ იყო შეზღუდული პრესის თავისუფლება. 1893-სა და 1894 წლებში საფრანგეთის მთავრობამ კიდევ გაიდა მტრის წინაღობე. ერთის სიტყვი, პრესის მდგომარება იცვლუბოდა საფრანგეთის მთავრობასთან ერთათ. პრესამ გაიარ ყელა განვირვების თებში საფრანგეთის პოლიტიკურ განვითარებასთან ერთათ და მისწია ჩვენამდის უკვე გამაგრებულმა, ძალიან მოხილმა.

1900 წლის სტატისტიკით, საფრანგეთში გამოდის, 2,474 ყოველგვარეული გაცემა და 497 ყოველდღიური. მართლად პრესაში გაცემით თავის იზინს 125,000 კაცი. მომეტებული ხალხი ამ გაცემებისა ზომიერ რესპუბლიკანურათ. თვით პრესაში იმავე წლის ანგარიშით 154 პოლიტიკურ გაცემებში 74 რესპუბლიკანურია, 27 რადიკალური და სოციალისტური, 25 მონარქიული და კლერიკალური, 8 ნაციონალისტური და ანტი-სემიტური და 29 «სიხვად-სიხვად» მიმართულებით. პარიზშიც პერიოდულ გამოცემათ შორის 1,078 რესპუბლიკანურია და 228 სოციალისტური და რადიკალური.

ქურნალ-გაცემებიდან.

ბ. არჩილ ჯორჯაძემ დამთავრა თავისი საპასუხო წერილები ბ. ნ. ქორდანიას შენიშვნებზე. მართალია, ამ წერილებითაც ვერ გამოარკვია ბ. ჯორჯაძემ (რაც გამოარკვეული არ იყო) თავისი მიმართულება, ვერ დავე-მტყიცა თავისი დემოკრატობა, თუმცა გარწმუნებს კი ნ. ქორდანიასზე უფრო დემოკრატი ვარო. ნ. ქორდანიას დაცვას ჩვენ აქ არ შევუდგებით, მისი დამცველი მისი აზრების სიმართლეა და დამფესებელიც მკითხველი საზოგადოება.

ჩვენ გვიანტერესებს ბ. ჯორჯაძის მანერა მიმართულების გამოარკვევაში. ეტყობა ა. ჯორჯაძეს ძალიან წყენია ბურჟუაზიის მეტარადე რომ უწოდეს, არ მოსწონს ეს სახელწოდება და გვეფიცება დემოკრატი ვარ, ჩემი საზრუნავი საერო ინტერესები და ერის უმრავლესობა და განაგრძობს ძველებურ მსჯელობას. ჩვენც გვეგონა, რომ ყოველივე ამას ბ. ჯორჯაძე გულწრფელათ ამბობს, გვგონა, რომ ის გულწრფელათ... ცდება თავისი თავის შესახებ და ვწუხვართ, რომ დანდარება არაფრით შეგვიძლია. ან კი რა ჩვენი ბრალია, რომ საქმენი მისნი მის სურვილებს არ ეთანხმებიან! „საქმემან შენმან გაცხობნოს მეწინა“, ნათქვამია, და ჩვენც ამ საზომით ვათავსებთ ბ. ჯორჯაძის «მოღვაწეობას» და მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ იგი ბურჟუაზიის იდეოლოგია და არა «უმრავლესობისა». ბ. ჯორჯაძე წყრება, როცა მას ქართული მწერლობის გაუცნობლობას სწამებდნ და უფრო გავეწყრება, თუ ვგვე ვუთხარით ვეროპის შესახებ, არც გვინდა ვკადროთ,



მაგრამ რათ იფიქრებს ზოგიერთ უბრალო და ყველასათვის ცნობილ ფაქტს. ვინა მან არ იცის, რომ იშვიათია ისეთი ბურჟუაზიის იდეოლოგი, რომელიც მარტო ბურჟუაზიისათვის თელიდეს თავის თავს?! იშვიათია, საზოგადოთ, რომელიც მე «უმცირესობის» იდეოლოგი ყველა კლასების, საერო ინტერესების დამცველათ არ ისახავდეს თავს. მკითხველმაც იცის და ბ. ჯორჯაძემაც, რომ ყველა ბურჟუაზიანობისტი, ყველა კლასის იდეოლოგიები, თუნდ ინგლისის ჯინგონისტები, გერმანიის აგრორიები, საფრანგეთის ნაციონალისტები, მელინისტები, ანტისემიტები და სხვა მთელი ერის ინტერესების დამცველათ თელიან თავს და ბევრი მათგანი ისევე გულწრფელათ, როგორც ბ-ნი ჯორჯაძე. მაგრამ გულწრფელობა არ კმარა. არ კმარა არც სურვილი საერო საქმის დაცვისა, საქროა საქმე „უმცირესობის“ ინტერესებისკენ მიმართული, და უამისოთ რამდენიც უნდა გეარწმუნოს ბ. ჯორჯაძემ, ვერ დაგიჯერებთ. საერთო მოქმედებისათვის გამოწვეული ხელსაღმაშინ ჩამოვარდნით, როცა ის უარყოფს ბურჟუაზიის იდეოლოგიას და „უმცირესობის“ ინტერესებს დააყენებს პირველ ადგილზე. ბურჟუაზიის და კაპიტალიზმს, თუმცა მათი მოვლინება და აღორძინება, უეჭველია, ბიჯის წინ წადგება, ჯორჯაძეების ხელის შეწყობა არ სჭირდება, ისინი უმათოთაც ძლიერ-მოსილნი არიან, და „უმცირესობის“ ინტერესების დამცველი მოვალეა ამ უკანასკნელის გაცნობიერებას შეუწყოს ხელი, კაპიტალიზმის პირველი ბიჯის შემოდგმისათანავე აქეთ მიაკციოს თავისი ძალები...

**კიდევ ბ. გ. ზდანოვიჩის შესახებ.**

(წერილი რედაქციის მიმართ).

წინა წერილში მე ვწერდი შესახებ სავიწვევო დაუდგობისა, რომელიც გამოიჩინეს ბ. ზდანოვიჩმა და მისმა ამხანაგებმა ჭიათურის სავადმყოფოს გაუმჯობესების საქმეში. რაც უნდა არა-სელაჟურად იქონიეს ხემა აღწერა ქსენონის მაშინდელი მდგომარეობისა, მაინც სავიწვევო, რომ შიშის ზანძრავი იტანას მკითხველს. მე ვიფიქრებ, რომ ისეთი საშინელი ქსენონი, რომელიც არსებობდა ჭიათურაში ოთხი წლის განმავლობაში, მთელ დედა-მამის ზურგზედაც კი არ იქნება. სულის აღმამყოფელი და შემამწუნებელი რამე უოკელი იყავს, რაც კი აძლიერებს კაცის ტანჯვას, აქ მოუყარა თავი. ჭიათურის ქსენონი იყო საზიზღარა ნაყოფი ექსპლუატაციისა, მძარცველთა გულ-გრილობისა, ექსპლუატაციის უკმადადესი სიფიქსი. სავიწვევო წარმოვადგინათ ის საშინელი სურათი, რომ დახატოთ ჭიათურის «ექსპლუატატორები». ესენი იქებობენ მსოფლიო თავისი ჯიბისათვის და სრულიად არ ზრუნავენ იმ ხალხისათვის, რომლის შრომითაც მდიდრდებიან. თვითონ დაზნაუბნი გადმოქმედს, მუშები კი ვოკსელთში ჩაყვრიან. არსად არ არი ისეთი საზიზღარი ფორმა ექსპლუატაციისა, როგორც ჭიათურაში. საშინელ და საშიშარ ვადარებში, საშინელ მუშაობით ვან-გაწვევით და ავადგამსდარ მუშებს სიკვდილის წინა დღეებში საშინელ საზურობილეში ავადებენ! დაჯანბნათ თავი ქსენონს, გადავიდეთ მუშების ბინებზე, რომელნიც აძლევენ მასაღას სავადმყოფოს.

მე, როგორც ექიმი, სშირად ვნახულობდი თავლებში ავადმყოფებს. აი რანაირი იყვნენ ეს თავლები: ცალიერი კედლები, არც ჭერი, არც იატაკი, არც ფანჯარა. ძირს ხესვი და

ჭეჭვი, საშინელი სიბნელები; აუტანელი სიმურცალები; სიბრტყეში მძავალი ცხენი; სადღაც კუნტულში რამდენიმე ფიცარი, ადამიანების საწოლი.

და მაშინ, როდესაც ჭიათურის მუშის შრომით მოკლი ქვეყნის მდიდრდება, იგი ცხოვრობს ასეთს საშინელებაში.

მწარმოებლები ვადებულნი არიან კანონით გააკეთონ სასლები მუშებისათვის. მათი საბჭო, რომლის თავმჯდომარეთაც ბ. გ. ზდანოვიჩი, ვადებულა იყო მიექცია ვურცადება ამ საქმისათვის. რატომ იყო გაჩემებული ბ. ზდანოვიჩი აქამდის? რატომ არაფერი იღობა? ვიცი, რომ მას ბევრი პროექტები ჰქონდა და აქვს, მაგრამ იმისი არ იყოს, «სანამ შეტრე მოვიდოდეს, ვავლეს ტყავი გააძურკოს», სანამ ბ. ზდანოვიჩი მუშებს სასლებს აუშენებდეს, მანამდის იგინი ვგონებ ვადეკაც ამოწოდენ!

შეიძლება ბ. ზდანოვიჩმა იმითი იმართლოს თავი, რომ რაც საბჭოს იფელი შემოქმდიოდა, ვივლავიქს ვერ გაწვევოდო. მაგრამ თუ ვერ გაწვევოდა, სხვა საშუალება უნდა ადმოქინა. ამას ვადდა, ერთი ეს ვიკითხოთ: რას მოხმარდა ის იფელი, რომელიც საბჭოს შეუდიოდა? რა ვაკეთეს? აი ავკ ამ უკანასკნელმა კრებამაც ვადასწვევითა, რომ ვაკეთებიათ ქსენონი, სასადილოება და სხ.-და-სხ. მაგრამ მოიფიქრან საბჭომ რამე ამგვარი სისრულეში?! არა და არც მოიფიქრან ვერ ვერობით ბ. გ. ზდანოვიჩი პროექტებს ვერ ვასრულებია. რომ ვივლავიქს ვაკეთება სურს, ცხადია, მაგრამ ვერ უნდა იფიქროს. აი, ვადლითად. ეს საში ვადიწადია, იფიქრობენ ქსენონის ავდილის ამოწვევას და ვერ-ვერობით ვადეკ ვერ ვადაწვევით ვადსწრით ვარაფერი. რათი ვასხნება ამგვარი უნაყოფო იფიქრები, პროექტები, ვოქმანი, რატომ არ ვასრულებენ კრების ვადსწვევითებას? სად არის იფელი, რომელიც საბჭოსთვის მიუბარებიათ ბანკში? მაგრამ იმ იფელის დანიშნულება ის კი არ არი, რომ ბანკში ვადოს, ანამედ ის, რომ მწარმოებელთა საჭიროებას მოხმარდეს ვირდავირ.

დაახ, ბ. ზდანოვიჩი დამნაშავეა, რომ ასე ვულ-გრილობა ვუწრობა მუშათა ვაჭირებულ მდგომარეობას, დამნაშავეა, რომ კრების ვადკენილების წინააღმდეგ მისდამი მიბარებულ იფელს არ ვადვავს იმავ, რაც შეადგენს ამ იფელის ვირდავირ დანიშნულებას \*).

ექიმი ვასილ წეროული.

1901 წელს, 5 ივნისს. ვვირილა.

\* ვუჭდავო რა აქ ვცვლელათ ბ. ვ. წეროულის მეორე წერილს, საჭიროთ მიგვანინა შევნიშნოთ შემდეგი:

ამ წერილებს ვუთმობთ ავდილს არა ვისიმე ჩიოქის მოსაცხებლათ ან ვისიმე ვასამართლებლათ, მით ვემეტს, რომ წერილების ავტორი სულ წინააღმდეგს აღწევს, არამედ მხოლოთ ცოტაოდენი სინათლის შესატანათ იმ ბნელოთში, რომლითაც მოცულია ჭიათურის მოღვაწეთა მოქმედება, ნამეტურ მუშათა ყოფა ცხოვრების ვასაუფობესებლათ.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.**

ს კ ო ლ ი ა და ზ ა ნ ს ი ო ნ ი  
ა. მ ა ვ უ ლ ა ი შ ვ ი ლ ი ს ა.

ამხადებს ემაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებს ბისათვის.

ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13. 4-4

სტამბა ვ. მარტიროსიანისა, ვანქის-ადი ქ. № 1-2.